ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 25 იანვარი, 2021 | №10 (8539) | ფასი: 60 თეთრი

## დეპუტატ ირაკლი ჩავლეიშვილს ბათუმში თავზე ნაგავი დააყარეს

დააკავეს ირაკლი ფანგანი

გვ.3


### 25 იანვრიდან

მაია ბურჭულაძე

**ერთი მამის შვილები**

**ემიგრანტის სამაჯური**

„დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

**ტომი 2**




**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**


# „ოცნების“ შიდა ინტრიგები გახარიას შეიწირავს“





## ხათუნა ლაგაზიძე:

### „ივანიშვილმა „ოცნების“ სახით ნალმებით სავსე დენთის კასრი დატოვა“

„ამერიკას ვჭირდებით, მაგრამ დასაყრდენს ვერც ხელისუფლებაში ხედავს და ჯერჯერობით — ვერც ოპოზიციაში“

გვ.2



## „ჯობია, ხელი დაარტყა, ვიდრე თავზე ნაგავი დააყარო“

რატომ არ მოეწონა რომან გოცირიძეს ბათუმში მომხდარი ინციდენტი

გვ.3



## „ჩვენ რუსეთთან ომი მოვიგეთ!“

ლია მუხაშავრია:
„არ გამოვრიცხავ, ჰააგის ტრიბუნალზე განაჩენები გამოვიდეს პუტინისა და მედვედევის წინააღმდეგაც“

გვ.4

## ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს

გვ.2



მურმან დუმბაძე: „სამი თვეა ბათუმში უწყვეტი აქცია გრძელდება და ხალხი კარვებიდან არ გამოსულა“

გვ.4



## ანზორ აბრალავა:

### „საქართველოში ისევ მოქმედებს ლოზუნგი „ყველა ერთის წინააღმდეგ“

## შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის განცხადება

გვ.5




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა
დაკავებულია და მხილებულია 6 პირი

**5** სექს-მუშაკი კლიენტს პოლიციის მანქანამ მიუყვანა

**5** შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 764 ფაქტი გამოავლინა

**6** ნავალნის მხარდამჭერთა აქციებზე რუსეთში 3.000 პირი დააკავეს

# „ოცნების“ შიდა ინტრიგები გახარიას შეიწირავს“

## ხათუნა ლაგაზიძე: „ივანიშვილმა „ოცნების“ სახით ნაღმებით სავსე დენთის კასრი დატოვა“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა ელოდება ბიზნესს და ღარიბ მოსახლეობას და რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება? რატომ წავიდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან და იქნება თუ არა გავლენებისთვის ბრძოლა „ოცნების“ კარზე? სად არის ოპოზიცია და რატომ ფიქრობს, რომ ამერიკა დასაყრდენს ვერც ხელისუფლებაში ხედავს და ვერც ოპოზიციაში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს:**

***— იყო მოლოდინი, რომ 1 თებერვლიდან მაინც გაიხსნებოდა ეკონომიკა. რეგიონებში რაღაც ნაწილი იხსნება, მაგრამ თბილისში ფაქტობრივად არაფერი. ტრანსპორტი ისევ არ იქნება. რა ელოდება ბიზნესს და ღარიბ მოსახლეობას?***

— ცხადია, რომ ბიზნესიც და ეკონომიკაც ცოცხალი ადამიანებისთვისაა და ის მათ უნდა შექმნან და აკეთონ. მეორეა ის, რომ ამ სიცოცხლეს და ადამიანების უსაფრთხოებას მხოლოდ კოვიდი არ ემუქრება. ვინ გაზომავს, სახლში მჯდომი ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ჩვენი მომავალი თაობის განვითარებაზე როგორ აისახება ეს. ვხედავთ, რომ ბავშვები ასოციალურ გარემოში იზრდებიან, მაშინ როცა, მათი იდენტობა სწორედ სოციალურ ურთიერთობებში უნდა დგინდებოდეს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ 100 ათასობით ადამიანი უმუშევარია. განულებული შემოსავლები ხომ ასევე დამანგრევლად აისახება ჯანმრთელობაზე?! ხელისუფლება ამაზე არ ფიქრობს: ის ჩვენი ჩაკეტვით საკუთარ თავს უფრო უქმნის კომფორტს, ვიდრე — ჩვენ.

ყველაზე მძიმე ისაა, რომ აღებულია მილიარდობით ლარი და არანაირი პასუხისმგებლობა და ვალდებულება არ აქვს ხელისუფლებას, რომ გამოაქვეყნოს ამ ვალებიდან რაში რა დაიხარჯა. გამაოგნებელია ეს. არც მედია არ ტეხს განგაშს და არ სთხოვს პასუხს, სად წავიდა ამდენი ფული?! რაც მთავარია, არც ოპოზიცია არ კითხულობს ამას და ვერ აცნობიერებს, რომ ეს მისი გადასახდელია. გასაგებია, რომ პარლამენტში არ შედიან და გაყალბებულ არჩევნებს აპროტესტებენ, მაგრამ პროტესტის არანაკლები საფუძველი უნდა იყოს წყალში გადაყრილი მილიარდები, რომელიც ასევე კოვიდზე არანაკლები საცეცებით მოგვიბრუნდება რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ამ უზარმაზარი თანხების დაბრუნება უნდა დავიწყოთ. თითქოს ეს თანხები ეკონომიკის გადასარჩენად იყო ნასესხები დიდწილად, მაგრამ ამ ერთ წელში ეკონომიკის რომელი დარგის აღორძინებაზე გსმენიათ რამე? ბუნებრივია, ეს შეუძლებელიც იყო, რადგან კოვიდია, მაგრამ რომელი დარგის განვითარების პერსპექტივა ჩაიყარა?!

***—განადგურების წინაშეა და ბიზნესი ამაზე***



**„ამერიკას ვჭირდებით, მაგრამ დასაყრდენს ვერც ხელისუფლებაში ხედავს და ჯერჯერობით — ვერც ოპოზიციაში“**

***საუბრობს, რომ საბოლოოდ არ ჩამოიშალოს. რა პერიოდი დასჭირდება იმას, რომ კორონავირუსამდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს?***

— ჯერ აღდგენაზე ვერაფერს ვიტყვით. იმიტომ, რომ ამ პრობლემაზე სისტემური ხედვა არ აქვს არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას. ბიზნესისთვის გაკეთდა ის, რომ საშემოსავლო და ქონების გადასახადი ჩამოეწერა ბიზნესის ნაწილს და ასევე მოხდა ბანკის პროცენტის დაფინანსება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ეს შეეხიდა ბიზნესს. ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ბიზნესის ხანგრძლივვადიანად გადარჩენა ამით შეუძლებელია.

***— ანუ მხოლოდ მოკლევადიანი ხედვა აქვთ და საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივა არ ჩანს?***

— მოკლევადიანად რაღაცა ჟანგბადი ჩაბერა ხელისუფლებამ ბიზნესს. კოვიდი თანაბრად ებრძვის ადამიანებსაც და ბიზნესსაც. ორივეს ჟანგბადს უკეტავს. დროებითი ჟანგბადის გადასხმის ეფექტი ჰქონდა, მაგრამ ხვალ და ზეგ, როდესაც ეს შეზღუდვები მოიხსნება და ჩამოქცეული ბიზნესებიდან ალბათ მხოლოდ 30% შეძლებს საქმიანობას, მაშინ რა თანამონაწილეობით უნდა შეძლოს ხელისუფლებამ ბიზნესის გვერდში დგომა, გარწმუნებთ, რომ ეს მათ არ იციან. შესაბამისად, ამ ნასესხები მილიარდებიდან გადანახულიც არ აქვთ.

ვაქცინასთან დაკავშირებული თემებითაც თავბრუს გვახვევენ და ჯერ ბოლომდე არ ვიცით, როდის შემოვა და რამდენი. მაგალითად, ევროკავშირმა ვაქცინა კვლევების დასრულებამდე შეუკვეთა. გონიერი ხელისუფლება ამას გააკეთებდა და ეს იყო საუკეთესო გამოსავალი. ის მილიარდები რომ ისესხა, პირველ რიგში ვაქცინას შეუკვეთავდა და მერე დაიწყებდა სხვა მიმართულებებით ფიქრს. მით უმეტეს, როცა შენი ეკონომიკა ტურიზმზე კიდია, ვაქცინაცია ერთ-ერთ ყველაზე პირველებს უნდა დაგვეწყო და დაგვესრულებინა, რათა ტურიზმი გახსნილიყო: წესით, ახლა რეკლამები უნდა მიდიოდეს, რომ მაისის ბოლოს დამთავრდება ვაქცინაცია და ტურიზმისთვის ქვეყანა იხსნება. დღეს რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, ეს არის დანაშაული. ჩვენ კი, იმის ნაცვლად, პასუხი მოვთხოვოთ, ფეისბუკიდან ცხვირს არ ვყოფთ და თავზე ნაცარს ვიყრით.

***— წავიდა ივანიშვილი, რომელმაც შესაძლოა იგრძნო, რა საფრთხეც იყო მოსალოდნელი. არის საუბარი, რომ გახარიას რამდენიმე თვეში შეცვლიან და ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ მას შეაწმენდენ ხელებს და ეს ვითარება ხომ არ შეიწირავს?***

— ეს დამოკიდებულია ორ რამეზე. ერთი, ეს არის „ქართული ოცნების“ შიდა ბრძოლებსა და ინტრიგებზე. იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ივანიშვილი წავიდა, ამაზე იქნება დამოკიდებული ეს ინტრიგები. თუ დიდი დოზით წავიდა, ეს შიდა ბრძოლები იქნება მძლავრად, ხოლო თუ მცირე დოზით წავიდა და ამერიკისთვის თვალის ასახვევად, მაშინ შედარებით მცირე ბიძგები იქნება.

***— რა დოზით წავიდა ივანიშვილი?***

— რამდენიმე ფაქტორის გამო მისი წასვლა, სულ მცირე, გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე იყო 2013 წელს. ერთი, ეს არის აშშ-ის არჩევნების შედეგები და ის პრიორიტეტები, რაც ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ გამოაცხადა. ეს არის დემოკრატიის დაცვა მთელი მსოფლიო მასშტაბით და ეს ღერძულ საკითხად ბრუნდება აშშ-ში, რაც ტრამპის დროს საერთოდ არ იყო ყურადღების ცენტრში. მეორე, ეს არის რუსეთის შეკავება. ამერიკის ამ განცხადებას მყარი საფუძველი აქვს. კერძოდ ის, რომ კოვიდის თემამ მსოფლიოში გაზარდა ჩინეთის მიმართ ინტერესი, არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიურად წინწასული ქვეყნის მიმართ, რომლის ეკონომიკაც ამერიკისას ეწევა და გადაუსწრებს, არამედ მმართველობის სისტემის ეფექტურობის მხრივაც, რომელზეც ნახევარი მსოფლიო ლაპარაკობს და ამბობენ, რომ კოვიდის გამოწვევის დროს ეს ავტორიტარული მმართველობა უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ამერიკული დემოკრატია. ანუ ამერიკის გავლენისთვის რაც იყო ერთ-ერთი მთავარი საყრდენი მსოფლიოში — დემოკრატიული მმართველობის ექსპორტი და ხელშეწყობა — მას ხელიდან ეცლება. ამიტომ, ამერიკისთვის დღეს დემოკრატიული მართვის სტილის ხელშეწყობა და გავრცელება მსოფლიოში, ფაქტობრივად ჩინეთის შეკავების სტრატეგიის ნაწილი გახდა, რათ შეაჩეროს ჩინეთის მმართველობის სტილი ექსპორტი მსოფლიოში.

***— ამერიკა ცვლის პრიორიტეტებს დემოკრატიის განმტკიცების მხრივ და ეს იყო ივანიშვილისთვის საფრთხე და მისი პოლიტიკიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი?***

— კი, ეს იყო ერთი მიზეზი, ხოლო მეორეა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება. ამერიკაში მის წინააღმდეგ სანქციების ახალ ტალღას არ გამორიცხავენ. ასევე, არის რუსეთში მიმდინარე პროცესები. ვნახეთ, რომ შაბათს იყო მილიონიანი საპროტესტო აქციები.

***— სადაც დააკავეს მოქალაქეები, მათ შორის ალექსეი ნავალნის მეუღლეც.***

— ვინც არ უნდა დააკავონ, რუსეთში ახლა ის პროცესები მიმდინარეობს, რომ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ვერ შეძლებს შეკავებას იმ პროტესტის, რაც იქ არის. რუსეთში დაიწყო ხელისუფლებისთვის ბრძოლა. ვინც დღეს რუსეთში გავლენისთვის იბრძვიან, უძლიერესი სახელისუფლო კლანები, ისინი ქუჩის პროტესტს, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ, მაგრამ რითი დამთავრდება ეს და ვინ გამოვა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული, ეს არავინ იცის. პუტინის კორუფციულ სკანდალებზე ნავალნის მიერ გადაღებულ ფილმებში გამოყენებული მასალებიც, შიდა სახელისუფლო ბრძოლის შედეგად გამოჟონილი ინფორმაციის ნაყოფია. ამას გარდა, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების ფარგლებში როგორ მოიქნევს რუსეთი კუდს საქართველოს წინააღმდეგ, არავინ იცის. ივანიშვილმა ბევრი რამ იცის რუსეთში მიმდინარე პროცესებზე და ამიტომაც გაეცალა, რომ სხვას შეაწმინდოს ხელები.

მესამე ფაქტორია ის, რომ ივანიშვილი ფიქრობს, ქართული ოპოზიცია დღეს ვერ არის იმდენად ძლიერი, რომ მის მიერ დატოვებულ ბიჭებს რამე დააკლოს. ამის გამოც გავიდა ივანიშვილი გვერდზე.

***— ახლა რა ხდება „ოცნებაში„? დაწყებულია გავლენისთვის ბრძოლა და თუნდაც ის ფაქტი რაზე მეტყველებდა, რომ ივანიშვილმა მემკვიდრედ დატოვა კობახიძე და არა, ვთქვათ, კალაძე ან გახარია?***

— კობახიძეზე არ ვაპირებ საუბარს, რადგანაც ის არასერიოზული ფიგურაა. „ოცნებას“ უდგას ერთი ამოცანა, რომ არ მოხდეს მისი ამომრჩევლის ჩამოშლა ივანიშვილის წასვლის კვალდაკვალ, ანუ არ გაქრეს „ოცნების“ მხარდაჭერის სურვილი რეალურ მხარდამჭერებში, ხოლო მეორე ნაწილში — შიში, მათ შორის, საჯარო მოხელეებსა თუ სოციალურად დაუცველებში, რომლის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ ხმა მიეცათ „ოცნებისთვის„, რათა არ დაეკარგათ სამსახური თუ სოციალური დახმარება. ამის პრევენციას ეცდებიან ივანიშვილის ბიჭები, მათ შორის მკაცრი ხელის ჩვენებით და ველი, რომ შეცდომას შეცდომაზე დაუშვებენ. რეალურად ივანიშვილმა დატოვა ნაღმებით სავსე დენთის კასრი ამ ხელისუფლების სახით, რომელიც ეცდება, ავტორიტარული ტენდენციები და მკაცრი ხელი აჩვენოს ხალხს. მაგალითად, გარეჯის თემის გააქტიურება და არარსებული ბრალის დამძიმება მელაშვილი-ილიჩოვასთვის და ამ საქმეში ახალი „დამნაშავეების“ ძიება, გვარამიას „საქმის“ სასამართლოს ჩანიშვნა და ა. შ. ამ პროცესში ხელისუფლება შეცდომებს დაუშვებს, მაგრამ მთა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს

## მურმან დუმბაძე: „სამი თვეა ბათუმში უწყვეტი აქცია გრძელდება და ხალხი კარვებიდან არ გამოსულა“

ნათია ხურცილავა

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, მამუკა ხაზარაძე აცხადებს, თუ ოპოზიციის მოთხოვნებს ხელისუფლება არ მოისმენს, ცხელ გაზაფხულს მიიღებს. ხელისუფლება კი კვლავ რევოლუციურ სცენარზე საუბრობს. თქვენი პოზიცია როგორია?***

— ყველა კარგად ხედავს, რომ ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური კრიზისია. ქვეყანა ჩიხშია შესული. პარლამენტი ვერ ფუნქციონირებს. სრული უფლებამოსილება მას ამომრჩევლისგან არ გააჩნია. რომც არ გაყალბებულიყო არჩევნები და ისე მიგვეღო იგივე სურათი, მაშინაც კი უნდა დანიშნულიყო ვადამდელი არჩევნები კრიზისის განსამუხტად.

ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ვადამდელი არჩევნებია. ეს



კონსტიტუციაშია ჩაწერილი.

***— ხელისუფლება ამბობს, რომ არანაირი კრიზისი არ არსებობს.***

— ეს მათთვის არ არსებობს არანაირი კრიზისი, თორემ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ჰკითხეთ, როგორი კრიზისია ქვეყანაში ნებისმიერი მიმართულებით. ქვეყანა გაჩერებულია. ვერ ვითარდება. ბათუმში კარვებია გაშლილი, ზუგდიდში კარვებია. საქართველოს ნებისმიერ ქალაქში დღე არ გავა, რომ საპროტესტო აქცია არ გაიმართოს. როდემდე გაგრძელდება ასე?!

***— ხელისუფლება ერთ კვირაში არჩეული დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას აპირებს. შეიძლება ეს იყოს მთელი ამ პროცესის კულმინაცია?***

— შეუძლებელია! აქ, საერთოდ ვადებზე ლაპარაკი ზედმეტიც კია. აქამდე რატომ არ შეგვიწყვიტეს, თუ მაგრები არიან. ძალით დეპუტატობა ვის გაუგია.

***— ახლა შეგიწყვეტთ და ამით პროცესს დაასრულებს.***

— დაასრულოს. დაე, დაასრულოს! და ამით რას მიიღებს?! პოლიტიკური ჩიხიდან გამოდის ქვეყანა?! ამით ხომ არაფერი არ შეიცვლება, კიდევ უფრო გაღრმავდება ჩიხი.

ხელისუფლება ვალდებულია, ჩიხიდან გამოსავლის გზა მოძებნოს და ქვეყანას შესთავაზოს. ასე ხდება ყველგან. ასე ხდება ევროპის ქვეყნებში, ასე ხდება ისრაელში. მთავრობა ვალდებულია გამოსავალი შემოგვთავაზოს ხალხს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს. მილიონამდე მოქალაქეს, რომელიც მივიდა არჩევნებზე ყველაფრის მიუხედავად. ამ ქვეყნის მოქალაქეების 52% ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას უარი უთხრა. მისი ხელისუფლება უნდა დასრულდეს. რეალურად ასეთი შედეგი გვაქვს: 52% 48-ზე ოპოზიციის სასარგებლოდ. ეს რეალობად უნდა ვაქციოთ. სანამ ეს არ იქნება რეალობა, მანამდე არაფერიც არ მოხდება საქართველოს პარლამენტში. საქართველოს პარლამენტი ვერ შეიკრიბა. ის ვერ ასახავს საქართველოს ამომრჩევლის ნებას. ეს არის რეალობა, რაც არ უნდა თქვას ახლა „ქართულმა ოცნებამ“. მე ვერ ვეტყვი ადამიანებს, გამოდით კარვებიდან და ახლა პარლამენტში შედით.

***— გაზაფხულზე აქციებთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება თუ არის ოპოზიციაში მიღებული?***

— სამი თვეა ბათუმში უწყვეტი აქცია გრძელდება და ხალხი კარვებიდან არ გამოსულა. სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიან და ადამიანები ერთმანეთს ენაცვლებიან. ბუნებრივია, გაზაფხულიდან აქციები ყველგან დაიწყება და გაგრძელდება მანამ, სანამ „ქართული ოცნება“ გონს არ მოეგება. მათ უნდა დანიშნონ ვადამდელი არჩევნები.

***— თუ არ დანიშნავს?***

— თუ არ დანიშნავს, მაშინ ეს იწილო-ბიწილო გაგრძელდება.

***— როდემდე?***

— მანამდე, სანამ არ შეიცვლება რეალური ვითარება. სანამ არ დაისმება დიაგნოზი თუ რა არის პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის გზა.

***— აქციები პერმანენტული შეიძლება იყოს?***

— დიახ, რა თქმა უნდა! შესაძლებელია იყოს პერმანენტულიც და შესაძლებელია, მხოლოდ ერთი კვირა გახდეს საჭირო. ამას დრო გვიჩვენებს.

***— კიდევ ერთი საკითხი: როგორც ვიცი, ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტის თემაც განიხილება ოპოზიციაში.***

— სიმართლე გითხრათ, მე, მაგალითად, ვერ ვხედავ ადგილობრივ არჩევნებზე გასვლის აუცილებლობას. ადგილობრივი არჩევნები ქვეყნის ხელისუფლებას ვერ ცვლის. „ქართული ოცნება“ ჯერ უნდა გადავიდეს ოპოზიციაში და შემდეგ მივიღოთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ჯობია, ხელი დაარტყა, ვიდრე თავზე ნაგავი დააყარო“

## რატომ არ მოეწონა რომან გოცირიძეს ბათუმში მომხდარი ინციდენტი

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

***– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი კვლავ აქტუალურია. ხელისუფლება ოპოზიციას პირველ თებერვლამდე აძლევს ვადას. ასევე წინ არის მეხუთე რაუნდი. მიდის პროცესი დასასრულისკენ? რა მოლოდინი გაქვთ?***

– როგორც იტყვიან, მივდივართ ფინიშისაკენ, ალბათ სულ მალე, თებერვლის შუა რიცხვებისათვის გაგვიუქმდება ოპოზიციის უდიდეს ნაწილს საპარლამენტო უფლებამოსილება, ვინაიდან ხელისუფლება არ აპირებს უკან დახევას და კომპრომისზე წამოსვლას.

***– ოპოზიცია რატომ არ მიდის კომპრომისზე?***

– ოპოზიციამ ძალიან დიდი კომპრომისი გაწია, როდესაც ხელისუფლებას პლებისციტი შესთავაზა. შევთავაზეთ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა.

***– აქაც დიდი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა იყო ოპოზიციაში.***

– იყო წინააღმდეგობა თუ არ იყო, ფაქტია, რომ ოპოზიციის ერთიანი წინადადებით შევიდა ეს პაკეტი, იმ მოლაპარაკების მაგიდაზე, რომელიც ხორციელდება ელჩების შუამავლობით. ყველამ იცის რასაც ვითხოვდით, ეს არის საარჩევნო სისტემის რეფორმა, პოლიტპატიმრების გამოშვება და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. ჩვენ თუ ასე კატეგორიულად მოვითხოვდით ამ ყველაფერს, ოპოზიციამ ამ წითელი ხაზებიდან უკან დაიხია. სწორედ უკან დახევაა პლებისციტის შეთავაზება, სადაც იქნებოდა კითხვა დასმული, გინდათ თუ არა, რომ ოქტომბერში ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ხომ შეიძლებოდა ხალხს ეთქვა, რომ არ გვინდა პანდემიის პირობებში ახალი არჩევნები?!

***– რისკზე წახვედით?***

– დიახ, ოპოზიცია ამ რისკზე მაინც წავედით და შევთავაზეთ ხელისუფლებას, თუმცა, ამაოდ. ოპოზიციის მხრიდან პლებისციტის შეთავაზება იყო გონივრული უკანდახევა. ამ ფონზე რა გააკეთა ხელისუფლებამ? პლებისციტზე ხომ უარს ამბობს, უარს ამბობს პოლიტპატიმრების გამოშვებაზე და საერთოდ არ უნდა ვადამდელი არჩევნების საკითხის განხილვაც კი. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, პროცესი მიდის ლოგიკურად დასასრულისაკენ და ეს ძალიან მძიმე იქნება ქვეყნისათვის, რომელსაც ეყოლება ერთპარტიული პარლამენტი. ასევე ძალიან მძიმე იქნება „ქართული ოცნებისათვის„, ვინაიდან ის ამ ფორმით ვერ შეძლებს ქვეყნის მართვას.

***– პარლამენტში შევიდა ოპოზიციის მცირე ჯგუფი და ნაწილი კიდევ შესასვლელად ემზადება.***

– კარგით რა, ეს ხომ სასაცილოა. პატრიოტთა ალიანსიდან შესული ადამიანები არ განიხილება საერთოდ ოპოზიციად. ეს რომ მოხდებოდა, ამაში ეჭვი არასდროს შემპარვია, ზოგიერთი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, რომლებიც თავიდან დარწმუნებულები იყვნენ, რომ პატრიოტთა ალიანსი არ შევიდოდა პარლამენტში. ყველას უკვირდა, რის საფუძველზე ვამბობდი, რომ შევიდოდნენ, თუმცა ეს განცდა სულ მქონდა. ესეც მოხდა და ეს მოხდა, ივანიშვილის სიტყვებს თუ ვიხმართ, დახვეწილი ტრიუკით. ლიდერები არ შევიდნენ, მაგრამ მეორე ეშელონი შევიდა. დუბლშემადგენლობით თამაშობენ და შენიღბვისთვის სახელიც კი გადაირქვეს. ორი და სამი დეპუტატიც რომ დაემატოს, არსებითად ეს არაფერს არ ცვლის. მდგომარეობას ეს არ ცვლის. არ ცვლის იმ მოცემულობას, რომ საქართველოში არის პარლამენტი, სადაც არა ჰყავთ ოპოზიცია. სადაც ხელისუფლებამ გაწირა თავისი ქვეყანა პერმანენტული კრიზისისათვის. შეუძლებელია ხელისუფლებამ მშვიდად იმუშაოს, როდესაც ოპოზიციას ხელისუფლების შესაცვლელად ერთადერთ იარაღად დარჩება ქუჩა.

***– ქუჩაში საკმაოდ აგრესიულად იქცევა ოპოზიცია. ძალიან ბევრმა დაგმო ის, რაც ბათუმში მოხდა. ასევე დაგმეთ თქვენც და თქვენი პარტიის რამდენიმე წევრმა, თუმცა კრიტიკა სერიოზული იყო თქვენი მისამართითაც. რისი თქმა შეგიძლიათ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– მე ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალური ქსელით დავაფიქსირე ჩემი პოზიცია. ის რაც ბათუმში მოხდა, ეს არის სამარცხვინო საქციელი. ძალადობა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების, თუნდაც არასწორი გადაწყვეტილების გამო, რაგინდ მიუღებელიც არ უნდა იყოს იგი, არის ბოლშევიზმი. საკმაოდ სამწუხარო ინციდენტი მოხდა. საბოლოო ჯამში, ხელისუფლება და მისი იდეოლოგიური მანქანა, ამას გამოიყენებს ისევ ოპოზიციის წინააღმდეგ. ოპოზიციის მთავარი კოზირი დღეს არის მისი მორალური უპირატესობა. იცის ხალხმა, რომ ოპოზიციაა მართალი. ხალხმა იცის, რომ ოპოზიციამ მეტი ხმები მიიღო, ვიდრე ხელისუფლებამ, თუნდაც იმ მაჩვენებლებით, რაც დაიწერა.

***– და თქვენ ფიქრობთ, რომ ოპოზიციამ ეს მორალური უპირატესობა არ უნდა დაკარგოს თავისი ქმედებებით და წინდაუხედავი ნაბიჯებით?***

– მორალური უპირატესობის დაკარგვა ნიშნავს, რომ ხელისუფლების წისქვილზე ასხამ წყალს. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. მსგავს სიტუაციას ხელისუფლება ყოველთვის გამოიყენებს ოპოზიციის დასასუსტებლად. ეს რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს. ასევე არის მეორე მხარეც, ვინც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, მისი ღირსების შელახვა არ არის ღირსეული საქციელი. ასეთ საქციელს, რაც ბათუმში ჩაიდინეს, ჯობია ხელი გაარტყა, თუმცა არც ამისკენ მოვუწოდებ არავის, ესეც დანაშაულია. თუმცა დამცირების ფორმასაც აქვს ზღვარი, აქვს თავისი ღირსეული შემადგენელი და ამ ზღვარს არ უნდა გადააბიჯო. ახალგაზრდა აქტივისტები არიან და შეცდომა მოუვიდათ. ესენი აქტივისტები არიან და ასეთივე საშინელი საქციელი ჩაიდინა გორში საჯარო მოხელემ, როდესაც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს თავზე დაამხეს ნაგავი. მთელი ქვეყანა მოიარა ამ კადრებმა და ეს საჯარო მოხელე არავის დაუსჯია. ვიტყვი, რომ ხელისუფლება ვერ გაუძლებს საპროტესტო მუხტს, ოპოზიციის ზეწოლას და ამ ყველაფრის ბოლო მაინც ვადამდელი არჩევნები იქნება.

***– გაქვთ მასობრივი საპროტესტო აქციების იმედი?***

– დიდს და პატარას მნიშვნელობა არა აქვს. იქნება დიდიც, იქნება პატარაც, იქნება ერთ ქალაქშიც და მეორეშიც, შესაძლოა ერთ დროულად ოც ქალაქში. საპროტესტო მუხტი, მარტო აქციების სიმრავლით არ იზომება. ეს მუხტი უკვე თითოეული ოჯახიდან მოდის. უმძიმეს მდგომარეობაშია ხალხი.

***– შეზღუდვები მცირე ნაწილით მოიხსნება პირველი თებერვლიდან, ძირითადი ნაწილი კვლავ ძალაში რჩება. ამ ყველაფერთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

– რა თქმა უნდა, ქვეყანაში პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი აუცილებელი ფორმა არის შეზღუდვები და ამას არავინ უარყოფს. არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც არის პანდემია ჩვენზე უფრო მძიმედ თუ მსუბუქად და სადაც რაღაც ადეკვატური შეზღუდვები არ არის. თუმცა ამ შეზღუდვებს, ბუნებრივია, მდიდარი ქვეყნები უფრო მარტივად გადაიტანენ, ვიდრე ღარიბი ქვეყნები. ცხადია, რომ ჩვენნაირ ღარიბ ქვეყნებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დაიგეგმოს შეზღუდვების ფორმები. ტრანსპორტის გაჩერება ნიშნავს მანქანის არმქონე ადამიანების გაწირვას. მათ სამსახური არ აქვთ და რომც ჰქონდეთ, ვერ წავლენ სამსახურში. გახსნან ქვეყანა ყველა წესის დაცვით, გაამკაცრონ სანქციები და ყველა დაიცავს წესებს. ვინც პირბადეს არ გაიკეთებს, დაჯარიმდეს. შეზღუდვები მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს და ეს პროცესი უნდა იყოს მართვადი და ამ მართვაში უნდა იგრძნობოდეს ხელისუფლების როლი და არა ის, რომ არაფრის უნარი არა აქვთ და მოდით, ყველაფერი ჩავკეტოთ. შეზღუდვები აუცილებლად უნდა შერბილდეს.



***– ვაქცინა რამდენად შეცვლის სიტუაციას?***

– ამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი საშუალება არის ვაქცინაცია და ამ სიტუაციაშიც მაჩანჩალას პოზიციაში აღმოვჩნდით. 20 ათასი შემოგვაქვსო, რა არის 20 ათასი, როცა 700 ათასი მარტო პენსიონერი გვყავს. გააჩნია იმას, არა როდის შემოიტან, არამედ რამდენს შემოიტან. ხელისუფლებას ყველანაირი რესურსი უნდა გამოეყენებინა, თუმცა ავტორიტეტი არა აქვთ და არაფრის მაქნისები არ არიან. ამ სიტუაციაში კომერციული მდგენელიც უნდა შემოვიდეს, კერძო სტრუქტურებსაც უნდა მისცენ ვაქცინის შემოტანის საშუალება, ვისაც აქვს საშუალება ვაქცინის შემოტანის, ყველამ უნდა შემოიტანოს. ბიზნესი მეტად მოქნილია და გამონახავს ვაქცინის შემოტანის გზებს. ამ წლის განმავლობაში 60%-ის აცრა მოხდებაო, რომ გვეუბნება ხელისუფლება, ტყუილია. ვერ მოაბამს ამას თავს ხელისუფლება. სხვას რას მოაბა თავი, რომ ვაქცინაციას მოაბას?! გამორიცხულია, რომ ჩვენი მოსახლეობის 60% ამ წელიწადში იქნას აცრილი. ეს გაგრძელდება ძალიან დიდხანს და დიდხანს გაგრძელება ნიშნავს მეტ დაავადებულს და მეტ გარდაცვლილს.

# „ოცნების“ შიდა ინტრიგები გახარიას შეიწირავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვარია, ოპოზიცია რამდენად მზად დახვდება ამ შეცდომებს.

***– ოპოზიცია არ არის მზად?***

– მე რასაც ვუყურებ, ჯერჯერობით არა. ოპოზიცია არის საკუთარი თავის ძიებაში. ოპოზიციას თავისი ამომრჩეველი, ფაქტობრივად, ბედის ანაბარად ჰყავს მიტოვებული. ამ დროს უზარმაზარი თემები უდევს ხელის გულზე. ერთ-ერთი მოთხოვნა უნდა იყოს დეტალური ანგარიშის მოთხოვნა ხელისუფლებისგან – სად წავიდა მილიარდობით შემოსული დოლარი. ისევე, როგორც იმ ხალხის დაორგანიზება საპროტესტოდ, ვინც შემოსავალი დაკარგა და მათმა შვილებმა რეალურად განათლების უფლება დაკარგეს.

***– ხომ არ უნდა დადოს ოპოზიციამ გეგმა, როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა?***

– რა თქმა უნდა. დავუშვათ და მოვიდა ხელისუფლებაში ოპოზიცია. ამდენი ვალი რომ აქვს ხელისუფლებას აღებული და ეკონომიკას რესურსი აღარ აქვს, რომ ჩამოქცეული ქვეყანა ფეხზე დააყენოს, რით და როგორ აპირებს ქვეყნის მართვას? ბიზნესის დატერორებით? ბიზნესს თავად რა აქვს, რომ დაატერორონ?! პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია ხალხს დაანახებდა, რომ ეს მისი გაჭირვებაა.

***– რა გამოდის, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ორივე უპასუხისმგებლო გვყავს დღეს?***

– უპასუხისმგებლოს ვერ დავარქმევდი ოპოზიციას, მაგრამ დაბნეულია: ვერ ახერხებს რეალური პრობლემებით დაკავდეს. ბიზნესს ძალიან უჭირს და დასაკარგი არაფერი აღარ აქვს, ახლა კი მისი დაორგანიზება და ქუჩაში გამოყვანაა საჭირო. იშვიათად ვარ ქუჩით პრობლემების მოგვარების მომხრე, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ ჩანს.

***– თქვენ თავს ხომ არ განიხილავთ პოლიტიკაში და რას იტყოდით იმ ინფორმაციაზე, რომელიც კულუარულად გავრცელდა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იქმნება „ნაცმოძრაობის“ ქოლგის ქვეშ და მას თქვენ უხელმძღვანელებთ?***

– ამ ჭორების შემკვეთები და შემსრულებლები თვითშეფასებას მიმაღლებენ. ამ ფეიქნიუსის თანახმად გამოდის, რომ საქართველოში ვერც ერთ პარტიას ვერ უარსებია ჩემი დახმარების გარეშე. თუ ხუმრობაა ხუმრობა იყოს და ასეთივე წარმატებით შეიძლება ისიც ითქვა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამაც შემომთავაზა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელობა. სრული სიყალბე რომ არის ეს ინფორმაცია, ამას დრო აჩვენებს, მაგრამ როცა ასეთი ყურადღების ცენტრში ექცევი, ეს შენს აქტუალობას უსვამს ხაზს. თუმცა, სიყალბის გავრცელებით, ფეიქნიუსებით ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს „ოცნების“ 8-წლიანი მმართველობის ამორალური ნაწილია, რომლითაც ცდილობენ, ყველა აქტიური თუ ანგარიშგასაწევი ადამიანის ჩაქოლვას. ნებისმიერი ადამიანი, ვინც კი შეიძლება საზოგადოებრივი აზრის მობილიზება მოახდინოს, მათთვის საშიშროების წყაროა.

***– გიორგი ვაშაძემ თქვა, რომ ის ქმნის მესამე ძალას, სადაც ექსპერტებიც იქნებიან. იქ ხომ არ გიხილავთ? განიხილავთ თუ არა ამას?***

– მე არაფერი ვიცი გიორგი ვაშაძის ინიციატივის შესახებ. წარმოდგენა არ მაქვს, რა ინიციატივაზე საუბრობს და რაც არ ვიცი, იმაზე ვერ ვიფიქრებდი.

***– როგორ ფიქრობთ, ვაშაძეს შეუძლია თუ არა სიცოცხლისუნარიანი ძალის შექმნა ან ზოგადად პოლიტიკურ სპექტრში რა სურათს ხედავთ?***

– ვიცი, რომ აუცილებელია ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამ საზოგადოებას დაუბრუნებენ საკუთარი თავისა და ღირსეული მომავლის რწმენას. ასევე დაუმტკიცებენ, რომ ოპოზიციას შეუძლია დაიცვას ამომრჩევლის ხმები და ინტერესები. შესთავაზებენ დიდ სახელმწიფოებრივ იდეას და ნათლად აჩვენებენ, როგორი საქართველოს აშენება უნდათ და რა ბრძოლაში ეპატიჟებიან მხარდამჭერებს. მე ვიცი, ეს როგორ უნდა გაკეთდეს.

ვსაუბრობდით იმაზე, რომ ამერიკისთვის პრიორიტეტული ხდება დემოკრატიის გამყარება მსოფლიოში. ამ როლზე ჩვენს რეგიონში საქართველოს კონკურენტიც კი არ ჰყავს, მაგრამ ამერიკამ რომ მოინდომოს საქართველოსთან თანამშრომლობა, ვისთან უნდა ითანამშრომლოს? ხელისუფლებასთან, რომელიც პროდასავლურის გარდა ყველაფერია? მხოლოდ დეკლარირების დონეზე თუ არის პროდასავლური, რეალურად კი რუსეთთან ერთად აწარმოებს ფსიქოლოგიურ-დივერსიულ ოპერაციას საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. დარჩა ოპოზიცია, მაგრამ ის ჭრელია და არ ქმნის სტაბილური და გრძელვადიანი დასაყრდენის განცდას დასავლეთში. ასევე არ ქმნის იმ განცდას, რომ მას ქვეყნის შიგნით აქვს აქტიური მხარდაჭერა ანუ არჩევნებზე ხმას კი აძლევენ, მაგრამ შემდეგ მიცემული ხმების დასაცავად ხალხი გარეთ ველარ გამოჰყავს. ამერიკას მსოფლიოში თავისი პოზიციების დასაბრუნებლად ჰაერივით სჭირდება გარე პარტნიორები. ამიტომაც, მას შეიძლება ისე დავჭირდეთ, როგორც არასდროს, ამისთვის კი უნდა ვემზადოთ, დრო არც ისე ბევრი გვაქვს.

რაც მთავარია, გასაძლიერებელია შუა პოლიტიკური ფლანგი, ეს უმთავრესი პრობლემაა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქუჩაში არგამოსვლის მიზეზი ისიც არის, რომ ან არ უნდათ ხელისუფლებაში ნაცმოძრაობის დაბრუნებას, ან, სულ მცირე, ასოცირება მის მიერ მოწყობილ მიტინგებთან. ივანიშვილმა შუას გაკრეფით 2012-ში არჩევნები კი მოიგო, მაგრამ შემდეგ ამ დაპირისპირების გაღვივებით, ბოღმის, გაუტანლობის, დაუნდობლობის გაღრმავებით საზოგადოება დაასახიჩრა, საზოგადოებას შორის ხიდი ჩატეხა. შეხედეთ ხალხს, რა დღეშია? მათ ნაწილს დაცვა სჭირდება „ოცნებისგან„, ვთქვათ, იგივე საჯარო მოხელეებს, სოციალურად დაცულობის თუ ბიზნესს, რადგან „ოცნება“ აშანტაჟებს, რომ თუ მე არ მომცემ ხმას, პრობლემებს შეგიქმნიო. ამავე დროს, ხალხის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ დაცვა სჭირდება ნაცმოძრაობისგანაც, თუკი ის დაბრუნდა ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ მისი რევანშისაც ეშინიათ. ამიტომ, ამ ხალხს სჭირდება მათი ინტერესების გამომხატველი, პირდაპირი მნიშვნელობით, მათი დამცველი პოლიტიკური ერთეული – იქნება ეს პარტია თუ პარტიათა კოალიცია. ასეთი პოლიტიკური ძალა დღეს ჰაერივით სჭირდება ქვეყანასაც და აშშ-საც პარტნიორად და დასაყრდენად. შესაძლოა ეს როლი არსებულმა პოლიტიკურმა ძალებმაც შეასრულონ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შეავსებენ ამ სეგმენტს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენის აუცილებლობაა.

# დეპუტატ ირაკლი ჩავლეიშვილს ბათუმში თავზე ნაგავი დააყარეს

## დააკავეს ირაკლი ფანგანი




23 იანვარს აჭარის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ დეპუტატს ირაკლი ჩავლეიშვილს სამოქალაქო აქტივისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივას“ წევრებმა თავზე ნაგავი დააყარეს.

ინციდენტი ევროპის მოედანზე მოხდა.

როგორც „ალტერნატივას“ წევრი მზია ქედელიძე აცხადებს, ამ ფორმით აჭარის უმაღლეს საბჭოში ირაკლი ჩავლეიშვილის შესვლა გააპროტესტეს. მისი თქმით, ირაკლი ჩავლეიშვილი „ოპოზიციიდან გაიქცა და სკამისთვის იბრძოლა“.

დეპუტატისთვის თავზე ნაგვის დაყრის გამო 24 იანვარს პოლიციამ 1 პირი დააკავა.

როგორც სამართალდამცველებმა დაკავებულს, ირაკლი ფანგანს, განუმარტეს, ის სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მისი დაკავება „ალტერნატივას“ ოფისთან მოხდა.

ამასთან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის ბონდო თედორაძის ინფორმაციით, დაკავებული პოლიციის განყოფილებაშია გადაყვანილი. როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მოქალაქის დაკავება უკანონოდ მოხდა.

ბათუმში მომხდარ ინციდენტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ორი მუხლით დაიწყო – 156-ე – დევნის და 239-ე – ხულიგნობის მუხლებით.

აჭარის უმაღლეს საბჭოში ირაკლი ჩავლეიშვილი ერთადერთი ოპოზიციონერია, რომელმაც შესვლაზე თანხმობა განაცხადა.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ჩვენ რუსეთთან ომი მოვიგეთ!“

## ლია მუხაშავრია: „არ გამოვრიცხავ, ჰააგის ტრიბუნალზე განაჩენები გამოვიდეს პუტინისა და მედვედევის წინააღმდეგაც“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატი ლია მუხაშავრია პასუხობს.**

***– ქალბატონო ლია, სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება მიიღო და რუსეთი ევროპული კონვენციის რვა მუხლის დარღვევაში დაადანაშაულა. თქვენ როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?***

– ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება. შემიძლია დღეს დარწმუნებით ვთქვა, რომ ჩვენ რუსეთთან ომი მოვიგეთ. მართალია 2008 წლის აგვისტოში დავმარცხდით, მაგრამ დღეს ჩვენ ევროსასამართლოში რუსეთს ამ ომის საქმე მოვუგეთ სახელმწიფოთაშორისი დავის საქმეზე. ევროსასამართლოს სულ ორიოდე საქმე აქვს სახელმწიფოთაშორისი დავის სახით განხილული. ახლა რუსეთს ჩვენ უკვე მეორე საქმე მოვუგეთ.

პირველი იყო რუსეთიდან ჩვენი მოქალაქეების დეპორტაციის საქმე. მეორეა ეს, 2008 წლის ომის საქმეზე მიღებული დიდი პალატის გადაწყვეტილება.

დიდი პალატის გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ომის წარმოებისას რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინა – ადამიანების მოკვდინება, ადამიანების წამება, მათი პირადი უსაფრთხოების, ოჯახური ცხოვრებისა და საკუთრების უფლების დარღვევა. აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძველია იმისა, რომ კიდევ ორ საერთაშორისო სასამართლოში ომის საქმე იოლად მოვიგოთ.

პირველი შემთხვევაა, როცა პატარა ოკუპირებულმა სახელმწიფომ 21-ე საუკუნეში აგრესორ დამპყრობელ იმპერიასთან გამარჯვებას მიაღწია სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.

***– სტრასბურის ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა ომის დროს, ომამდე და დღესაც კონტროლს ახორციელებს. ამიტომ მას შეერაცხა ვალდებულება ადამიანის უფლებების დარღვევებზე. „ეფექტური კონტროლი“ ნიშნავს თუ არა იმას, რომ რუსეთს აღნიშნული ტერიტორიები ოკუპირებული აქვს?***

– „ეფექტური კონტროლი“ არის სამართლებრივი ტერმინი. ოკუპაცია უფრო პოლიტიკური ტერმინია. სამართლებრივი ტერმინი „ეფექტური კონტროლი“ ნიშნავს, რომ ომში ჩადენილი ყველა დანაშაული მიეწერება, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციას, როგორც სახელმწიფოს და მთავრობას მიუხედავად იმისა, რომ იქ ძალიან ბევრი დანაშაული ჩაიდინეს ე.წ. ოსურმა ბანდფორმირებებმა.

ვინაიდან ეფექტურ ადმინისტრაციულ კონტროლს ამ ტერიტორიაზე სრულად რუსეთის ფედერაცია და მისი საჯარისო ფორმირებები



ახორციელებდნენ, პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა ეფექტური კონტროლი არა მარტო ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე (ეს წერია გადაწყვეტილებაში) განახორციელა, არამედ ეფექტური კონტროლი განახორციელა აფხაზეთშიც.

ეფექტური კონტროლისა და იურისდიქციის საკითხები თავდაპირველად ევროსასამართლომ გადაწყვიტა ასანიძის საქმეზე, როდესაც საკითხი დადგა ეფექტური კონტროლისა და იურისდიქციის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

თქვენ გახსოვთ, საქართველოს პრეზიდენტმა ასანიძე შეიწყალა. პრეზიდენტის განკარგულებით გათავისუფლებული იყო, გამართლებული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ...

***– თუმცა, აბაშიძე არ ათავისუფლებდა.***

– ამ ორ გადაწყვეტილებას არ ასრულებდა. ევროსასამართლომ საკითხი ასე დააყენა: პატიმრის გათავისუფლებაზე ეს ორი განკარგულება იმიტომ არ სრულდება, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ მოქმედებსო?

მაშინ ჩვენ დავასაბუთეთ, რომ არა მარტო აჭარის ტერიტორიაზე ვრცელდება ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია, არამედ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიების ყველა ნაწილზეც, მთლიანი საქართველოს ტერიტორიაზე. მაშინ ეს იყო უზარმაზარი გამარჯვება.

ახლა ევროსასამართლო ამ მიმართულებით კიდევ უფრო წინ წავიდა და თქვა, რომ ომის დანაშაულები ჩაიდინა რუსეთმა იმ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს იურისდიქციაშია, მაგრამ ეფექტურ კონტროლს მაშინაც და ახლაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს. ამ თვალსაზრისითაც ევროსასამართლოს ეს გადაწყვეტილება უზარმაზარი ნაბიჯია.

თუ ჩვენი მთავრობა და ყველა (ვინც მუშაობს ამ მიმართულებით) გააგრძელებს თანმიმდევრულ მუშაობას, შესაძლებელი გახდება ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის დაბრუნება, მათთვის ღირსეული პირობების შექმნა და დეოკუპაციაც. ამის გარკვეული საფუძველი ევროსასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უკვე შექმნა.

***– ანუ ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებული ქართველების ეთნოწმენდაა აღიარებული და ეს დაგვეხმარება დევნილები თავიანთ სახლკარში დაბრუნდნენ?***

– რა თქმა უნდა. არა მარტო შესაძლებელია დევნილები დაბრუნდნენ, არამედ სტრასბურის გადაწყვეტილებაში ლაპარაკია იმაზეც, რომ დევნილი მოსახლეობის საკუთრების უფლება დაირღვა. თქვენ იცით, რომ ამ ომის შემდეგ მიწასთან გაასწორეს დევნილების სახლები და კარმიდამო, რადგან იცოდნენ, დევნილები, მიუხედავად ოკუპაციისა, მზად იყვნენ საკუთარ ეზოებში დაბრუნებულიყვნენ, თუნდაც გადამწვარი, დანგრეული სახლები აღედგინათ და იქ ცხოვრება გაეგრძელებინათ.

სწორედ ამიტომ, აბსოლუტურად გადაასწორეს ყველაფერი, რათა ამ ადამიანებს არ ჰქონოდათ შესაძლებლობა, ფიზიკურად იქ დაბრუნებულიყვნენ. მე ვაწარმოებ საქმეებს ევროსასამართლოში და ადამიანებს დღესაც აქვთ განწყობა დაბრუნდნენ, თუკი ჩვენი სახელმწიფო საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, ამ გადაწყვეტილების გამოყენებით, შეეცდება, დევნილებს დაბრუნების საშუალება მისცეს.

***– აღნიშნულია, რომ ოკუპანტი მიზანმიმართულად წვავდა ქართველების სოფლებსა და სახლებს, რაზეც ასევე რუსეთია პასუხისმგებელი. ჩვენთვის ცნობილია, როგორ გადაწვეს ცხინვალის იქით მდებარე სოფელი თამარაშენი და ბულდოზერებით გადაასწორეს. შემდეგ მოსკოვის მერმა ლუჟკოვმა სოფელ თამარაშენის ადგილზე ახალი სახლები ააშენა. თამარაშენი 20 წლის განმავლობაში ამ ტერიტორიაზე დაუმორჩილებლობისა და ქართული იურისდიქციის კუნძულს წარმოადგენდა, ამიტომ გადაწვეს და ბულდოზერებით გადაასწორეს, რათა ამ სხეულიდან ამოეკვეთათ.***

– ამ ფაქტებს აქვს უზარმაზარი დასაბუთება მტკიცებულებების სახით, რომელიც გადაღებულია თანამგზავრებიდან. დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, ეს ქართული სოფლები როგორი აყვავებული იყო, იქ ხალხი როგორ კარგად ცხოვრობდა, როგორი კარგი სახლები ჰქონდათ და შემდეგ რუსებისა და ოსების ძალისხმევით მიწასთან როგორ გასწორდა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოდევნილი მოსახლეობის საკუთრების უფლების დარღვევა გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დარღვევას, არამედ უფლებასაც, მოითხოვონ მიყენებული ქონებრივი ზიანის სრული კომპენსაცია.

ცხინვალის რეგიონთან ერთად სტრასბურის გადაწყვეტილებაში მოხსენიებულია აფხაზეთიც, როგორც რუსეთის ფედერაციის დე ფაქტო კონტროლის ქვეშ მყოფი ჩვენი ტერიტორია. თუ ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე სამართლებრივ, დიპლომატიურ და პოლიტიკურ ბრძოლას გავაგრძელებთ, შეიძლება მსგავსი გადაწყვეტილება მივიღოთ აფხაზეთის საკითხზეც.

***– აღნიშნული გადაწყვეტილება გამოდგება ჰააგის სასამართლოში საფუძვლად?***

– ჰააგის სასამართლო ინდივიდუალურ დანაშაულებს განიხილავს. პიროვნებების მიერ ჩადენილ დანაშაულობებს.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ჰააგის სასამართლოს განსჯადი ომის თავკაცების ქმედებები გახდეს? მათ შეიძლება შეეხოთ?***

– პასუხს მათ თუ მოსთხოვენ?!

***– დიახ. შეიძლება ვინმეს გაეცინოს, რომ ვიკითხო, პუტინს მოსთხოვენ პასუხს-მეთქი?***

– ღრმად ვარ დარწმუნებული, ჰააგის ტრიბუნალის გამოძიება ამდენ ხანს იმიტომ გაჭიანურდა და ამ საკითხის გადაწყვეტა ევროსასამართლოში იმიტომ დაიწყო, რომ შეიძლება ჰააგის ტრიბუნალი ბოლო სასამართლო იყოს. მანამდე მომზადდება სამართლებრივი საფუძველი და შემდეგ კონკრეტული პირების წინააღმდეგ ჰააგის ტრიბუნალზე განაჩენები გამოვა.

არ გამოვრიცხავ, ჰააგის ტრიბუნალზე განაჩენები გამოვიდეს პუტინისა და მედვედევის წინააღმდეგაც, რადგან ახლა ცივილიზებული სამყარო სამართლებრივი მეთოდებით ცდილობს რუსული აგრესიული პოლიტიკის ალაგმვას. ეს შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ მისი პირველი პირები დადანაშაულებული და გასამართლებული იქნებიან.

***– ცალკე ტრიბუნალის შექმნა ხომ არ არის საჭირო?***

– არა, არ არის საჭირო, რადგან ჩვენ ვართ რომის სტატუტის ხელმომწერი სახელმწიფო და მას ვექვემდებარებით.

***– თუმცა, რუსეთი რომის სტატუტს არ უერთდება და მას არც აღიარებს.***

– მერე რა? რუსეთი რომ არ აღიარებს და ამტკიცებს, თითქოს არ მიუღია საქართველოს ტერიტორიაზე ომის დანაშაულებში მონაწილეობა, ახლა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით ეს უკვე დადგენილადაა აღიარებული. აღნიშნული გადაწყვეტილება ველარ გასაჩივრდება და ის ძალაშია. გადაწყვეტილებას ევროსასამართლოს 17-მა მოსამართლემ მოაწერა ხელი, რომელშიც აღიარებულია, რომ რუსეთი მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე და იქ ფაქტობრივ, ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა.

***– რუსეთი ბუფერულ ზონებშიც ახორციელებდა ეფექტურ კონტროლსო.***

– ბუფერული ზონები შეიძლება იყოს საქართველოს ტერიტორიის გარეთაც, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზეც ახორციელებდა და ეფექტურ კონტროლს დღესაც ახორციელებს – გადაწყვეტილებაში მცოცავი ოკუპაცია და ადამიანების გატაცებაცაა ნახსენები. ამიტომ ახლანდელი გადაწყვეტილება არის საფუძველი და მნიშვნელოვანი დასაბუთება შემდგომი გადაწყვეტილებებისთვის. ფაქტებს, რაც დაადგინა ევროსასამართლომ, და მტკიცებულებებს, რასაც სასამართლო დაეყრდნო, ვერავინ ძვრას ვერ უზამს.

---

# „საქართველოში ისევ მოქმედებს ლოზუნგი „ყველა ერთის წინააღმდეგ“

## ანზორ აბრალავა: „ჩვენ დემოკრატია კი არა, დემოკრატიის კამუფლაჟი გვაქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი აპროტესტებს კოვიდ-პანდემიის გამო დადგენილი მკაცრი შეზღუდვების გაგრძელებას. ადამიანები მოითხოვენ მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის სრულად ამუშავებას, ეკონომიკური ობიექტების, ასევე სკოლებისა და საბავშვო ბაღების აღდგენას. ელის თუ არა ქვეყანას ფართომასშტაბიანი პროტესტი? ვის უქმნის პრობლემას ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური არსებობა? რა უნდა შეიცვალოს პოლიტიკაში? რატომ ვერ დამყარდა დემოკრატია? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**

***– ხალხი ძალიან უკმაყოფილოა შეზღუდვების გაგრძელებით. პრობლემებია ბიზნესშიც, განათლებაშიც. ადამიანები შიმშილობენ. მთავრობა თებერვლიდან ხსნის სავაჭრო ცენტრებს, მაღაზიებს. თუმცა, არ ითვალისწინებს იმას, რომ ამ ობიექტების თანამშრომლები სამსახურში ტაქსით ვერ ივლიან.***

– საზოგადოების უკმაყოფილება სამართლიანია. 1 თებერვლიდან რაღაც იხსნება, მაგრამ სხვა რამეც უნდა ამუშავდეს. ეკონომიკა სტაგნაციაში ვერ იქნება. ქვეყნის და ქალაქის ბიუჯეტი უძირო ქვევრი არ არის. ბიუჯეტი უნდა შეივსოს ეკონომიკური აქტივობით. ამიტომ, ეკონომიკა უნდა გაიხსნას და დაბრუნდეს ბრუნვა, უნდა მუშაობდეს პრინციპი: ფული-საქონელი-ფული.

***– ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ დამშეული ხალხი გაზაფხულზე ქუჩაში გამოვა. ამ შეზღუდვებით ხელისუფლება ხელს ხომ არ უწყობს საპროტესტო მოძრაობას?***

– ხელისუფლება იმიტომ არსებობს, რომ ხალხი უზრუნველყოს. მან უნდა მიიღოს ზომები იმისთვის, რომ ადამიანი გადარჩეს. საზოგადოებას აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი და დამოკიდებულება პროცესებისადმი. ცუდია, რომ ამას თავისი მიზნებისთვის იყენებენ დესტრუქციული პოლიტიკური ძალები. მათი ამოცანაა, შეაფერხონ საქართველოს სვლა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. ამ ვაი-ოპოზიციას ხალხის მდგომარეობა არ ადარდებს. ეს დესტრუქციული ძალები ეფარებიან პატრიოტულ რიტორიკას და ანგრევენ ქვეყანას. ხელისუფლება მათ რევანშისტულ მოქმედებებს მკაფიო სახელს არ არქმევს.

***– „ქართული ოცნების“ ახლად არჩეულმა აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ რევოლუციურ ავანგარდში ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ არიან. თქვენ რას იტყვით?***

– რევანშისტულ რევოლუციურ გეგმებს ამ ორი პარტიის გარდა, ატარებენ ასევე მათი სატელიტი პარტიები, ყველას უკან კი ერთი სახელმწიფო – რუსეთი დგას. სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის, მასთან მიბმული ყველა პარტიისა და ტელევიზიის საქმიანობა კარგად გაიშიფრა. ეგენი თუ ვინმეს დასავლეთის მოკავშირეები ჰგონია, კარგად გვქონია საქმე.

***– სხვა ოპოზიციაზე რას იტყვით? ოპოზიციური ერთობა ჯერ თითქმის შენარჩუნებულია.***

– მაგ ერთობის შენარჩუნება-დარღვევას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ადრეც ვთქვი, რომ ნულების გაერთიანება არაფერს იძლევა. ალეკო ელისაშვილმა სწორად უთხრა ხაზარაძეს, არეულობა და ომი გინდაო.

***– ალეკო ელისაშვილს ბევრი აკრიტიკებს. ნაწილი – ახლანდელი პოზიციის, ნაწილი – მისი გამოხატვის ფორმების, ნაწილი კი არათანმიმდევრულობის გამო.***



– არავის აქვს უფლება, ყველას დაუდგინოს კოდექსი. ელისაშვილი არაა ვალდებული ვინმეს დაუჯეროს. მისი ჭკუის დამრიგებლები გახდნენ გაშიფრული პარტიული ტელევიზიები, რომლებიც ბევრჯერ გამხდარან რევოლუციური კომიტეტები.

***– მოქმედ პარლამენტს როგორ აფასებთ? 2024 წლამდე მისი საქმიანობა შესაძლებელია?***

– ეს დამოკიდებულია მოვლენებზე და იმაზე, რას ჩაიფიქრებს რუსეთი და რას აასრულებს თავისი ქართველი დამქაშების ხელით.

***– რუსეთში ახლა დიდი ორომტრიალია. ამის გამო იქნებ საქართველოსთვის ველარ მოიცალოს?***

– სამწუხაროდ, ასე ოპტიმისტურად ვერ განვეწყობი. რუსეთში 1917 წელს ორი რევოლუცია მოხდა. დიდი არეულობა იყო, მონარქიაც დაამხეს, მაგრამ მალე მეფის რუსეთის გავლენა რამდენიმე წელიწადში აღადგინეს რუსმა ბოლშევიკებმა. ისე, აშშ-შიც არ არის სტაბილურობა. ტრამპს ჰყავს 74 მილიონი ამომრჩეველი. ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ გადავრჩებით და სად ვიქნებით.

***– პოსტივანიშვილისეული ეპოქა დადგა?***

– საქართველოში არიან პირები და ჯგუფები, რომლებიც ვერ ეგუებიან ბიძინა ივანიშვილის არსებობას. მათთვის მიუღებელია ბიძინა ივანიშვილი ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც არ უნდა იყოს. ხელისუფლებაში და პარტიაში რომ იყო, ადრე იმას ვერ ეგუებოდნენ. ახლა პოლიტიკიდან წავიდა და აუჩემებიათ, არ წასულაო. დღეს საქართველოში ისევ მოქმედებს ლოზუნგი „ყველა ერთის წინააღმდეგ“. ასე ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიასაც. ამათ, დესტრუქციულ ძალებს უნდა აბაროს ანგარიში? უნდა წავა, უნდა დარჩება. ეს მისი უფლებაა.

***– პოლიტიკაში რა იცვლება?***

– ვიტყვი იმას, რა უნდა შეიცვალოს. პარტიებს უნდა მიეცეთ კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

***– ახლა პარტიები ამას მოკლებული არიან?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ დემოკრატია კი არა, დემოკრატიის კამუფლაჟი გვაქვს. ლამის ყველა ტელევიზია პარტიულია. ისინი განსხვავებულ აზრს არ აჭაჭანებენ.

***– 2024 წელს საქართველო აპირებს განაცხადის შეტანას ევროკავშირის წევრობაზე. ფიქრობთ, მანამდე დემოკრატია დამყარდება?***

– ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. შეუძლებელია არაფერია. საქართველოს შეუძლია იყოს დემოკრატიული. ნატო და ევროკავშირი ჩვენი არჩევანია. სწორედ ამ სწრაფვას უშლიან ხელს დესტრუქციული ძალები სააკაშვილის თამადობით.

***– სააკაშვილი ისევ აქტიური იქნება?***

– დიახ. მას ჯერ ისევ იყენებენ. სააკაშვილი ისევ რუსულ საქმეს აკეთებს და ძველებურად აქტიურია. მისი ცრუ ანტირუსული გამოსვლებით უკვე ძალიან ცოტა ადამიანი ტყუვდება.

# სექს-მუშაკი კლიენტს პოლიციის მანქანამ მიუყვანა

## პოლიცია პროსტიტუციის ბიზნესშია ჩართული

შაბათის ფორმულას ინფორმაციით, პოლიცია პროსტიტუციის ბიზნესშია ჩართული. კერძოდ, ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ პოლიცია გოგონებს გამოძახებით ესკორტად ემსახურება და ამაში სოლიდურ გასამრჯელოს იღებს.



სექს-მუშაკების გამოძახების საიტზე პირველივე მცდელობისას სექს-მუშაკის გამოძახება კომენდანტის დროს მარტივად მოხერხდა. მსგავსი შინაარსის განცხადება, რომ ქალები 21:00 მერეც გადიან, ბევრი იძებნება.

ფორმულას ექსპერიმენტის დროს, ერთ-ერთ მისამართზე ქალი გამოძახებით კომენდანტის დროს ტოიოტა ქამრიმ მიიყვანა. ქამრის მალევე მოჰყვა თეთრი შკოდა – ოპერატიული ნომრებით.

ორივე მანქანა ადგილზე ერთი საათი იცდიდა. 1 საათში ქალი ტოიოტა ქამრიმ წაიყვანა, ოპერატიულ სამძებრო სამსახურის შკოდა კი დაახლოებით 10 წუთი ადგილზე დარჩა. ის, სავარაუდოდ, დარწმუნდა, რომ საეჭვო გადაადგილება არ შეინიშნებოდა და ტერიტორია ამის შემდეგ დატოვა.

ტოიოტა ქამრის მძღოლი, რომელიც დათქმულ მისამართზე კომენდანტის საათის დროს პირველად გამოჩნდა, შაბათის ფორმულას ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის მოქმედი თანამშრომელია – ბექა შელია.

შაბათის ფორმულამ ბექა შელიას სახლში მიაკითხა, თუმცა, მას უთხრეს, რომ შელია გადავიდა.

როცა გაიგო, რომ ფორმულა ეძებდა, ბექა შელიამ ფეისბუქის ანგარიში წაშალა. თუმცა, მანამდე მას გარეკანზე საპატრული პოლიციის მანქანასთან გადაღებული ფოტო ეყენა, სამუშაო ადგილად კი შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰქონდა მითითებული.

შელიამ შაბათის ფორმულას უთხრა, რომ ტაქსის მძღოლია და არანაირი ინფორმაცია არ აქვს.

– მე მგზავრი მივიყვანე და მერე მივაკითხე, წამოვიყვანე. არანაირი თეთრი შკოდა არ მინახავს, თეთრი შკოდა ბევრი მოძრაობს ქალაქში და როგორ გითხრათ, რა ვიცი, – თქვა მან.

თეთრი შკოდა შსს-ის მფლობელობაშია. თუმცა, რომელ დანაყოფს ემსახურება მანქანა სახელმწიფო ნომრით 430, რომელიც კომენდანტის საათის დროს სექს-მუშაკს და მის კლიენტს დარაჯობდა, უცნობია.

# შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის განცხადება

გვსურს, გამოვეხმაუროთ ტელეკომპანია ფორმულას ეთერში გასულ ინფორმაციას, თითქოს პოლიციის თანამშრომლები პანდემიის პირობებში მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების დროს სამსახურებრივი მანქანებით უკანონო საქმიანობას ეწევიან.

გადაცემის ანონსის გასვლამდე, არც გადაცემის და არც კონკრეტული სიუჟეტის ავტორები შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, არ დაკავშირებიან და ანონსიდანვე მტკიცებით ფორმაში განავითარეს აზრი, რომ პოლიციელები არღვევენ კანონს და მფარველობენ პროსტიტუციაში ჩაბმულ მოქალაქეებს.

მხოლოდ ანონსის გასვლის შემდეგ, გადაცემის და სიუჟეტის ავტორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში კონკრეტული სახელის და გვარის ადამიანების შესახებ გადაამოწმეს ინფორმაცია და იკითხეს, იყვნენ თუ არა ისინი პოლიციის თანამშრომლები, ასევე, ეკუთვნოდათ თუ არა მათ სოციალური ქსელის კონკრეტული პერსონალური გვერდები.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მათ მიერ დასახელებული არც ერთი პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მივაწოდეთ, მათ მტკიცებით ფორმაში განაცხადეს, რომ მათ მიერ დასახელებული პირები შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლები არიან.

რაც შეეხება სიუჟეტში ნაჩვენებ ფოტოს, რომელიც ჟურნალისტებმა სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებლის გვერდიდან აიღეს და მასზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ ვინმე ბექა შელია არის პოლიციის თანამშრომელი, ეს ინფორმაცია არის სიცრუე და ფოტოზე ასახული პირი არ არის ბექა შელია. უფრო მეტიც, აღნიშნული ფოტო არის საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი საიმიჯო ფოტო და მისი გამოყენება ღია წყაროებიდან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

მედიის მხრიდან მცდელობა, მტკიცებით ფორმაში საუბრით მაყურებელი დაარწმუნონ პოლიციელთა ვითომ უკანონო საქმიანობაში, არის საზოგადოების მიზანმიმართული შეცდომაში შეყვანა და სიცრუის ტირაჟირება.

არა მხოლოდ აღნიშნული მედიასაშუალების, არამედ სხვა ტელეკომპანიების მიერ, პოლიციის დისკრედიტაციის მიზნით, განსაკუთრებული აქტიურობით ხდება ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელება. აღნიშნული არის თავდასხმა პოლიციაზე, როგორც სახელმწიფო




ინსტიტუტზე და ემსახურება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ საზოგადოების ნდობის შესუსტებას.

# გიორგი გაბუნია: „ჩემ პოტენციურ მკვლელს ჩავხედე თვალებში“

22 იანვარს ჟურნალისტი გიორგი გაბუნია მასზე შესაძლო თავდასხმის საქმეზე სასამართლოში დაიკითხა.



– კითხვები შეეხებოდა იმას, თუ საიდან მქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩემზე თვალთვალი მიმდინარეობდა და ჩემი ლიკვიდაცია იგეგმებოდა და როდის მივიღე ეს ინფორმაცია. ახლაც მაქსიმალურად შეზღუდული მაქვს თავისუფლად გადაადგილება, დაცვის გარეშე აკრძალული მაქვს მოძრაობა და ის პერიოდი კიდევ უფრო მძიმე იყო, როცა დაცვის უფროსი ჩემთან სახლში ცხოვრობდა, რადგან ძალიან დიდი რისკი იყო, სანამ ბრალდებულის დაკავება მოხდებოდა.

ბრალდებულს შესთავაზეს, რომ ჩემთვის კითხვა დაესვა, მაგრამ მას არ ჰქონდა ჩემთან კითხვა, უბრალოდ, გამჭოლი მზერით მიყურებდა და მეც ვუყურებდი მას გამჭოლი მზერით. პირველად ვნახე ასე პირადად, მანამდე ფოტოებზე მყავდა ნანახი, მაგრამ სასიამოვნო ეს შეგრძნება, რა თქმა უნდა, არ არის, თუმცა, მას შეეძლო ჩემთვის კითხვების დასმა, არაფერი უთქვამს, უბრალოდ, მთელი პროცესის განმავლობაში ასე მიყურებდა და მეც ასე ვუყურებდი, – განაცხადა გაბუნიამ.

ჟურნალისტის თქმით, საქართველოში მას იმ დონის მტრები არ ჰყავს, რომ მისი მკვლელობა შეეკვეთათ.

– ვერ ვიტყვი, ის ლიკვიდაციაზე ამზადებდა ინფორმაციას, თუ თვითონ უნდა შეესრულებინა ბოლოს ეს, მაგრამ ვიზუალურად რომ შეხედავთ, ჰგავს – თავისუფლად შეიძლება იყოს თვითონ ქილერი, რომელსაც ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა. ამას მხოლოდ ვიზუალიდან გამომდინარე არ ვამბობ, ინფორმაცია სუსმა მომაწოდა, როცა დაზარალებულად მცნეს, რომ მას შესაბამისი ფიზიკური მომზადება აქვს გავლილი, ასევე კრიმინალური წარსული აქვს და ის იძებნება კიდეც სხვა ქვეყნებში მკვლელობებთან დაკავშირებით.

ასე რომ, არ გამოვრიცხავ, რომ დღეს მე ჩემ პოტენციურ მკვლელს ჩავხედე თვალებში. როცა პუტინიდან მოდის და როცა დაკვეთა კრემლიდან მოდის, ეს ასე არ სრულდება, მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ ერთი ადამიანის დაკავებით რუსეთის პრეზიდენტის შურისძიების სურვილი ამით დასრულდა. თუმცა, როგორ გაგრძელდება ეს ყველაფერი, არ ვიცი, – განაცხადა გაბუნიამ.

# „ინდოეთის მოქალაქემ სხვისი ანგარიშიდან 9.500 ლარი მოიპარა“

## დააკავეს 24 წლის შ.ს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე – შ.ს. დააკავეს. მას ბრალად ედება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემების უნებართვო მოპოვება და უკანონოდ გამოყენება, ასევე, ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა ერთ-ერთი კომერციული ბანკის ინტერნეტბანკის ვებგვერდის მსგავსი, ყალბი – ე.წ. ფიშერული გვერდი შექმნა, რომლის ბმული ამავე



ბანკის მომხმარებელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა და აღნიშნული მომხმარებლის ავტორიზაციის მონაცემებს მისი შეცდომაში შეყვანის გზით დაეუფლა.

შ.ს.-მ უკანონოდ მოპოვებული პირადი მონაცემების გამოყენებით, უნებართვოდ შეაღწია ბანკის მომხმარებლის ინტერნეტბანკის პროფილში და მისი საბანკო ანგარიშიდან 9.500 ლარი საკუთარ ანგარიშზე გადმოირიცხა. ბრალდებულმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის ნაწილი – 6.084 ლარი ბანკომატის მეშვეობით გაანაღდა.

სამართალდამცველებმა, კომპლექსური სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შ.ს. თბილისში დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მობილური ტელეფონები, პორტატული კომპიუტერები და საბანკო პლასტიკური ბარათები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 285-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 158-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 284-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს კომპიუტერული მონაცემების უნებართვო მოპოვებასა და უკანონოდ გამოყენებას, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას და ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

# პოლიციამ ქვემო ქართლში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო – დაკავებულია 2 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და საუბნო სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ორი პირი: 1975 წელს დაბადებული მ.ა. და 1983 წელს დაბადებული მ.მ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მ.მ.-ის მართვის ქვეშ მყოფი მიკროავტობუსით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, მათი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო 42 შეკვრად დაფასოებული, „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 764 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 764 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 100 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 664 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

# პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა – დაკავებული და მხილებულია 6 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს.

დაკავებული და მხილებულია 6 პირი: 1997 წელს დაბადებული რ.უ., 1998 წელს დაბადებული რ.ბ., 1999 წელს დაბადებულები ე.გ. და ა. შ, ასევე 2000 წელს დაბადებული ი.უ. და ამავე წელს დაბადებული ე.გ.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები მიმდინარე წლის 18 იანვარს ყაჩაღურად თავს დაესხნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, ჯართის მიმღები პუნქტის ტერიტორიაზე მდებარე ვაგონში მყოფ, ამავე ობიექტის თანამშრომლებს – მ.მ.-სა და ქ.ა.-ს, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დაეუფლნენ მათ კუთვნილ 2000 ლარს, ორ მობილურ ტელეფონს, 2 საათს და ვერცხლის ყელსაბამს.

თავდამსხმელებმა დაზარალებულებს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, მეორე ვაგონში გადაიყვანეს და ჩაკეტეს, ის ვაგონი კი, რომელზეც თავდაპირველად განახორციელეს თავდასხმა, ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით დაწვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ ყაჩაღობის გზით დაუფლებული მობილური ტელეფონები, დანაშაულის ჩადენის იარაღი და სხვადასხვა ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის, ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 179-ე, 187-ე და 143-ე მუხლებით მიმდინარეობს.

საერთაშორისო

## ნავალნის მხარდამჭერთა აქციებზე რუსეთში 3.000 პირი დააკავეს

რუსეთში, ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ალექსეი ნავალნის გათავისუფლების მოთხოვნით გამართულ საპროტესტო აქციებზე 3.000-ზე მეტი ადამიანი დააკავეს.



დაკავებები რუსეთის 70-მდე ქალაქში განხორციელდა. ყველაზე მეტი აქტივისტი დედაქალაქში დააკავეს, სადაც საპროტესტო აქციას 40.000-მდე ადამიანი ესწრებოდა. თუმცა, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ აქციაზე 4.000 ადამიანი იყო შეკრებილი.

მოსკოვში გამართულ აქციაზე დაკავებულებს შორის ალექსეი ნავალნის მეუღლეც იყო, თუმცა ის მოგვიანებით გაათავისუფლეს.

საპროტესტო აქციები, სლოგანით „თავისუფლება ნავალნის!“, რუსეთის ათობით ქალაქში გაიმართა. ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნებული რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, ალექსეი ნავალნი, აეროპორტში 17 იანვარს დააკავეს. მეორე დღეს სასამართლომ ნავალნის 30-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

რუსეთის ხელისუფლება ნავალნის მის მიერვე დაფუძნებული ორგანიზაციის, „ანტიკორუფციული ფონდის“, კუთვნილი თანხების თაღლითურად მითვისებაში ადანაშაულებს.

## გერმანია კოვიდ 19-ის სამკურნალოდ ანტისხეულებს გამოიყენებს



გერმანია გახდება პირველი ქვეყანა ევროკავშირში, რომელიც იმავე ექსპერიმენტულ მკურნალობას დაიწყებს ანტისხეულებით, რომელიც ამერიკის ექსპრეზიდენტის დონალდ ტრამპის შემთხვევაში გამოიყენეს კოვიდ-19 ვირუსის წინააღმდეგ.

ამის შესახებ გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა იენს შპანმა განაცხადა.

მისი თქმით, ამისთვის ხელისუფლებამ 200 ათასი დოზა შეიძინა, რაც 400 მილიონი ევრო დაჯდა.

– ანტისხეულების ე.წ. მონოკლონალური კოქტეილები უახლოეს კვირას საუნივერსიტეტო საავადმყოფოებში განთავსდება, – აღნიშნა მინისტრმა.

შპანს არ დაუსახელებია მწარმოებელი, ვინც გერმანიას მედიკამენტს მიაწვდის. თუმცა, ირწმუნება, რომ ეს ის პრეპარატია, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ღებულობდა, როდესაც გასული წლის ოქტომბერში კორონავირუსით დაავადდა.

– ის მუშაობს, როგორც პასიური ვაქცინაცია. ამ ანტისხეულების შეყვანა ადრეულ სტადიაზე პაციენტს შესაძლოა დაეხმაროს დაავადების სერიოზული პროგრესირების თავიდან აცილებაში, – განაცხადა მინისტრმა.

## ამსტერდამში ნარკობარონი ცე ჩი ლოპი დააკავეს

ჰოლანდიის პოლიციამ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნარკობარონი, ცე ჩი ლოპი, ამსტერდამის აეროპორტში დააკავა.

ნარკოტიკებით მოვაჭრე წარმოშობით ჩინეთიდანაა, თუმცა კანადის მოქალაქეობა აქვს.

ცე ჩი ლოპზე საერთაშორისო ძებნა ავსტრალიას ჰქონდა გამოცხადებული.

ნარკობარონს, რომელიც ავსტრალიაში ნარკოტიკების შესვლის 70%-ს აკონტროლებდა, 10 წელზე მეტი უთვალთვალებდნენ.




ცე ჩი ლოპს ხშირად აზია-წყნარი ოკეანის ელ-ჩაპოს უწოდებდნენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი



## ტაილანდის მეფემ ციხე საკუთარი ხელით დაასუფთავა

ტაილანდის სამეფო კარმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებიც ქვეყნის მონარქ მახი ვაჩირალონგკორნა რამი X-ისა და მისი რჩეულის სინინატ ვონგვაჯირაპაკდის ციხეში სტუმრობის დროსაა გადაღებული.

ზოგიერთ ფოტოზე მახი და სინინატი პირადად გვიან ციხის იატაკს ცოცხებით. სხვა სურათებზე მხოლოდ სინინატია ასახული, რომელიც უვლის მცენარეებს და ნიჩბით ხელში დგას ტალახში ქალთა ციხის პატიმრების გარემოცვაში. ფოტოსურათების ნაწილი ასევე ეძღვნება მახის ციხის თანამშრომლებთან და პატიმრებთან შეხვედრას. ასეთ ღონისძიებებზე, თავად მეფის გარდა, ყველა მუხლებზე იდგა.

მახიმ და სინინატიმ ციხეები გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში მოინახულეს. ეს ვიზიტი მიმდინარეობდა სტუდენტების მრავალთვიანი საპროტესტო გამოსვლების ფონზე, რომლებზეც ისინი მონარქიის რეფორმირებას მოითხოვენ. ამ ღონისძიების მიზანს კი ქვეყანაში სამეფო ხელისუფლების პოპულარობის გაზრდა წარმოადგენდა.

## ქალმა შიშველი ხელებით მოიგერია ლეოპარდის თავდასხმა



ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის ჯალპაიგურის ოლქში ჩაის პლანტაციის თანამშრომელმა ქალმა, სხვის დაუხმარებლად, მოახერხა ლეოპარდის თავდასხმის მოგერიება.

ლილა ორაონი ჩაის პლანტაციაში მუშაობდა, როდესაც მას მოულოდნელად თავს დაესხა ლეოპარდი. ქალმა შიშველი ხელებით მოახერხა გააფთრებული მტაცებლის მოგერიება. მათი ორთაბრძოლა დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც ლეოპარდი გაიქცა.

პლანტაციის თანამშრომლებმა მტაცებლის თავდასხმის შედეგად დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– ამჟამად ის მკურნალობის კურსს გადის. მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ჩვენ მისი სიმამაცით აღფრთოვანებული ვართ, – განაცხადა მკურნალმა ექიმმა სანდიპან სარკარმა.

## დედა-შვილის საშობაო თამაშმა შვილი გაამილიონერა




ამერიკის ვირჯინიის შტატში დედა-შვილის საშობაო თამაშმა შვილს მილიონერობა მოუტანა.

ტაილერ ფიცჯერალდმა განაცხადა, რომ დედამ მას შობის დღეს შესთავაზა ეთამაშათ „ნაგავზე ნადირობა“: ის, რომელიც ჩაფიქრებულ ორნამენტს იპოვიდა, რომელიც საახალწლო ნაძვის ხეზე იყო დამალული, მომენტალური ლატარიის ბილეთს მიიღებდა.

შედეგად მომენტალური ლატარიის ბილეთი ფიცჯერალდს ერგო. მან მაშინვე ნათესავების თანდასწრებით შეამოწმა გათამაშების შედეგები და აღმოაჩინა, რომ მილიონი დოლარით გამდიდრდა.

– ლატარიაში არასოდეს არაფერი მომიგია, – ამტკიცებს ლატარიის გამარჯვებული, – ეს რაღაც სიგიჟე იყო, ემოციებით აღვივსე.

## ზვავში თოვლის სქელი ფენის ქვეშ მოყოლილი მამაკაცი გადარჩა



ამერიკის იუტას შტატის მკვიდრი ზვავში მოყოლილი და თოვლის სქელი ფენის ქვეშ აღმოჩენილი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა.

43 წლის კოდი ნელსონი სნოუბაიკით ცურაობდა, როდესაც კლდიდან თოვლის ზვავი მოწყდა და ის ქვევით გაიყოლა. მამაკაცი თოვლის სქელი ფენის ქვეშ აღმოჩნდა.

ამერიკელის მეგობრებმა ის ჭოკების დახმარებით ერთი მეტრის სიღრმის თოვლში იპოვეს. მის ამოსაყვანად მათ დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდათ.

– თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ყველაფერი დამთავრდა. გონებაში დავემშვიდობე ახლობლებს და მეგობრებს. შემდეგ გავიგონე, რომ ჯონიმ რაციაში ჩასძახა: „კოდი, ჩვენ შენთან მოვდივართ“, – განაცხადა ნელსონმა.

ამ ინციდენტის შედეგად მამაკაცს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

## მამაკაცმა უსახლკარო ქალს ბინა აჩუქა



ტანსაცმლისა და საიუველირო ნაკეთობების დიზაინერმა, მეწარმე ისაია გარზამ უსახლკარო ქალს ახალი ბინა აჩუქა. მისი კეთილი საქმის ამსახველმა ვიდეომ ტიკტოკის პლატფორმის მილიონობით მომხმარებელი აღაფრთოვანა.

გარზამ გადაწყვიტა, მუდმივად დახარჯოს საკუთარი შემოსავლის ნაწილი იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც კოვიდ-19-ს პანდემიისგან დაზარალდნენ. ვიდეოში, რომელმაც ათეულობით მილიონი ნახვა მოაგროვა, დიზაინერი მანქანით მივიდა უსახლკარო ქალთან, სახელად რობინთან და შეეკითხა: „როგორ ხარ, ძვირფასო?“ ამის პასუხად გახარებულმა ქალმა შეჰყვირა და ავტომობილთან მივიდა.

დიზაინერმა მას საახალწლო შეკვრა გაუწოდა, რომელშიც ახალი ბინის გასაღები იდო.

– არა, არა... – დაიყვირა გაოგნებულმა ქალმა, – თქვენ შეიშალეთ! ღმერთო ჩემო.

ამის შემდეგ გარზამ ქალი მის მიერ ნაჩუქარ ბინაში მიიყვანა. ავეჯით გაწყობილ ბინაში, ასევე იდგა ორადგილიანი საწოლი, დიდი ტელევიზორი და დივანი.

## მეზობლებმა ქალს სექსის დროს ღორივით ღრუტუნის შეწყვეტა სთხოვეს



სოციალური ქსელის ტვიტერის მომხმარებელმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მეზობლები მას სთხოვენ, სექსის დროს აღარ იღრუტუნოს ღორივით.

ერთ-ერთმა მეზობელმა ქალს განუცხადა, რომ ისინი დაიღალნენ სექსის დროს მისი ყვირილისგან. სოციალურ ქსელში ამ წერილის გამოქვეყნებით ქალმა იხუმრა: „მე კი ვფიქრობდი, რომ ვყვიროდი, როგორც რეკლამა Herbal Essences-ის გმირი, ისე კი, წადი თქვენი.“ მოგვიანებით კი მან აღიარა, რომ მეზობლების აღშფოთების გამომხატველი გზავნილის შემდეგ თავს მეტად არაკომფორტულად გრძნობდა.

სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა საკუთარ კომენტარში გაიხსენა, რომ ოდესღაც ზედა სართულზე მცხოვრები მეზობელი იატაკის საწმენდ ჯოხს აბრახუნებდა, რათა ამით მისთვის სექსში ხელი შეეშალა. სხვები ამ ყოველივეს ხუმრობით შეხვდნენ და ქალს სექსის დროს სხვა ხმების გამოცემას ურჩევდნენ.

## მეგობრები თოვლის კაცის მსგავსმა არსებამ შეაშინა



კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის მცხოვრებლები შეაშინა უცნაურმა არსებამ, რომელიც ძალიან ჰგავდა თოვლის კაცს.

ოთხი მეგობარი 2020 წლის 25 დეკემბრის საღამოს ქალაქ სილვერტონის რაიონში მანქანით მგზავრობდნენ, როდესაც გზისპირას უზარმაზარი ფიგურა შენიშნეს. მათი თქმით, ის ძალიან წააგავდა, უზარმაზარ ადამიანს, ან უკანა ფეხებზე აღმართულ დათვ გრიზლის. არსება სწრაფად დაეშვა ოთხ კიდურზე და ბუჩქნარში გაუჩინარდა. მეგობრებმა მანქანა შეაჩერეს, მის ნაკვალევს ფოტოსურათები გადაუღეს და გადაუგზავნეს კრიპტოზოოლოგებს, რომლებიც თოვლის კაცის ძებნით არიან დაკავებულები.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის და პროგრამა „თოვლის კაცის მაძიებლები“ წამყვანის მეთ მანიმეიკერის აზრით, გაყალბება ან ხუმრობა გამორიცხულია.

– კვალის გარშემო თოვლი ხელუხლებელია, რაც იმას ამტკიცებს, რომ ნაკვალევი ადამიანის მიერ არ არის ხელოვნურად შექმნილი, – განმარტავს ის, – ნაბიჯის სიგრძე ადამიანის შესაძლებლობას, რომელიც ღრმა თოვლში სიარულს ცდილობს, აღემატება. კვალი და მისი სიღრმე აჩვენებს, რომ მოხტუნავე კურდღელი ვერ დატოვებდა. კვალის მიმართულების ხაზი იმას მოწმობს, რომ ეს არსება დათვი არ ყოფილა.

მომხდარიდან ათი დღის შემდეგ ადგილზე იმყოფებოდა კრიპტოზოოლოგების ჯგუფი. მათ ნაკვალევი შეისწავლეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის შესაძლოა ცხენირემს დაეტოვებინა.

– თვითმხილველება შესაძლოა შენიშნეს დიდი ცხენირემი, რომელიც წინ იყურებოდა და შესაძლოა ის ადამიანის მსგავს ფიგურად აღექვათ, – აცხადებს მანიმეიკერი. ამავე დროს ის აღნიშნავს, რომ ცხენირემის ნაკვალევი საკმარისი არ არის საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

## რუსთაველის თეატრს ეროვნული თეატრის სტატუსი მიენიჭა



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს ეროვნული თეატრის სტატუსი მიენიჭა.

ინფორმაცია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ გაავრცელა:

– ახმეტელის ოცნება ახდა, მაგრამ...

ამბობენ, რუსთაველის თეატრი ეროვნული თეატრი გახდაო!

არავის გაეხარდა!

არავის!

თეატრმცოდნეები ვერ იტანენ რუსთაველის თეატრს, რადგანაც 1937 წელს, როცა დაარბიეს დიდი ახმეტელი, თეატრის კრიტიკოსებმა და მეცნიერებმა სიჩუმე ამჯობინეს – კომპრომისების ფუმფულა ლოგინში ჩაწვნენ და ღალატის ფერადი და ძვირფასი საბანი გადაიფარეს.

ამიტომაც, არ არის გასაკვირი, რომ ქართული თეატრისადმი მიძღვნილ კვლევაში, კოდიკო ჩხარტიშვილს სანდრო ახმეტელი დაავიწყდა!

მაგრამ „დღის კოდს“ კი ძალიან გაეხარდა:

„ჩხარტიშვილის კოდი –
თვით ჭეშმარიტებაა,
ყველაფერი გაივლისო,
გა.ავალია ცხოვრებაო!..“
აღმოხდა ბატონ დავითს –
თეატრების აღმაშენებელს!“

აბა, სწრაფად, ლაფი და ბოლმა! გულისფანცქალით ვუცდი!

ფოტოზე: ახმეტელის ზარს ვრეკავ, ვნებათა მონებო!

## შალვა გაწერელია 90 წლის გახდებოდა



რეჟისორი შალვა გაწერელია 90 წლის გახდებოდა. მისი საიუბილეო თარიღი პანდემიის გამო, საკადრისად ვერ აღინიშნა, თუმცა მოზარდ მაყურებელთა თეატრს დაგეგმილი აქვს რეჟისორის იუბილე პანდემიის დასრულებისთანავე აღნიშნოს.

მანამდე კი იუბილარი რეჟისორი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შალუტაშვილმა გაიხსენა:

– შალვა გაწერელიას დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. მან შექმნა მოზარდ მაყურებელთა თეატრის „ოქროს ხანა“ და უდიდესი როლი ითამაშა ქართული სამსახიობო სკოლის განვითარების საქმეში.

მისი შემოქმედებითი ძიებები და პედაგოგიური ექსპერიმენტები უსწრებდნენ დროს. მისმა აღზრდილმა მსახიობებმა შექმნეს მთელი ეპოქა ქართულ თეატრში.

უნივერსიტეტი იმედოვნებს, რომ ქართულ საზოგადოებას მალე მიეცემა ამ გამორჩეული ხელოვანის, პედაგოგისა და პიროვნების ღვაწლის ღირსეულად დაფასების საშუალება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## ინდოეთში სამწლიანი პატიმრობის შემდეგ პაკისტანელი ჯაშუში მტრედი გაათავისუფლეს



ინდოეთის პოლიციამ პატიმრობიდან გაათავისუფლა პაკისტანელი მტრედი, რომელიც ჯაშუშობაში იყო ეჭვმიტანილი. ფრინველი დაფრინავდა ორ ქვეყანას შორის არსებულ სადავო ტერიტორიის საზღვარზე, რაც ინდურმა მხარემ თვალთვალის მცდელობად შეაფასა.

ფრინველის გამოკვლევისას პოლიციამ რაიმე საეჭვო მოწყობილობა ვერ აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ მტრედი თავდაპირველად პაკისტანელ მეთევზეს ეკუთვნოდა. თუმცა ამ დროისთვის უცნობია, თუ რომელ მხარეს გაუშვეს ფრინველი და დაუბრუნდა თუ არა ის მის პატრონს.

– ის უბრალოდ უდანაშაულო ჩიტია, – განაცხადა მტრედის პატრონმა ხაბიბულამ. ის ინდოეთის მოქალაქეებს მტრედის მისთვის დაბრუნების და არა პოლიციისთვის გადაცემისკენ მოუწოდებდა.

მოქალაქეების დაეჭვება გამოიწვია ნომერმა, რომელიც ფრინველს ფეხზე ჰქონდა გაკეთებული. ვარაუდობდნენ, რომ ის ფარული კოდი იყო, რომელიც იმ მებრძოლებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც სადავო ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. ხაბიბულა კი ამტკიცებს, რომ მტრედი მტრედების რბოლებში მონაწილეობდა, ხოლო ფეხზე მისი პატრონის ტელეფონის ნომერი ეწერა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ოლიმპიური ჩემპიონების ტიტულს ვერა და ქუთაისი გაითამაშებენ

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის ფინალში ერთმანეთს ვერა და ქუთაისი შეხვდებიან. სატიტულო მატჩი ოლიმპიური ჩემპიონების მშობლიურ ქალაქ ქუთაისში, მათივე სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართება.

მემორიალის ფინალში პირველად ითამაშებს მოკლე ისტორიის მქონე გუნდი ვერა. 3 წლის წინ შექმნილმა თბილისურმა გუნდმა ა ლიგიდან სუპერლიგაში აღზევება, უძლიერესთა შორის ადგილის დამკვიდრება და ახლა უკვე მემორიალის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ვერელებმა ფინალის საგზური იოლად მოიგეს. ნახევარფინალურ მატჩში ბრძოლა არ შედგა. კაკტუსმა ვერ მოახერხა ვერელთათვის წინააღმდეგობის გაწევა და მატჩი ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. ლევან ფაცაციას დებიუტი ვერას მთავარი მწვრთნელის პოსტზე სწორედ საკანდელიძე-ქორქიას მემორიალზე შედგა და ახალგაზრდა სპეციალისტი წარმატებით მიიწევს თავის ახალი კლუბისთვის პირველი ტიტულის მოსაპოვებლად.

ვერამ პირველი პერიოდი 32:17 მოიგო, მეორე – 23:15 და დიდი შესვენებისთვის 23 ქულით ლიდერობდა. მესამე პერიოდში ვითარება არ შეცვლილა, შეხვედრის ბედი ვადამდე გადაწყდა. ვერელთა ლიდერობამ 30 ქულას გადააჭარბა და მატჩმა სპორტული აზარტი დაკარგა.

საბოლოოდ ვერელებმა 106:74 მოიგეს, რაშიც ყველაზე მოზრდილი წილი ბრაისონ სკოტს მიუძღვის. სუპერლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ლეგიონერმა 24 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. 16-16 ქულა ნოდარ თენიეშვილმა და ვერელთა ახალმა ლეგიონერმა, აარონ პარკსმა მოაგროვეს. კაკტუსში 14 ქულა ლევან მასხულიამ მიითვალა, სამაი ჰეინს-ჯონსის ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა.

ძალიან დაძაბული და ემოციური გამოდგა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც ქუთაისმა 3 ქულით – 89:86 დაამარცხა თსუ. შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. გამარჯვება როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს შეეძლო და იმსახურებდა კიდეც, თუმცა ყველაფერი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა. ეს გახლდათ თსუ-ელთა მხრიდან ბურთის დაკარგვა შეხვედრის დასრულებამდე 3 წამით ადრე, როცა უნივერსიტეტელები ქულით – 86:87 ჩამორჩებოდნენ და აღნიშნული შეცდომის გამო წასაგებად გაიწირნენ.




მატჩის განმავლობაში თსუ-მ არაერთხელ მოახერხა სოლიდური დეფიციტის აღმოფხვრა. თავდაპირველად ეს დიდი შესვენების შემდეგ მოხდა, როცა პირველი ნახევრის 9 ქულით წაგების შემდეგ უნივერსიტეტელებმა გაქცევა მოაწყვეს და დაწინაურდნენ კიდეც. იმერული კლუბი სტაბილურობას ინარჩუნებდა და ბოლო პერიოდში კვლავ მოახერხა ხელჩასაჭიდი ლიდერობის მოპოვება. შეხვედრის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე ქუთაისელები 85:79 გალიდერდნენ, თუმცა ქუენტინ დავისა და ბრაის სმიტის მექულეობით თსუ-ელებმა მოახერხეს ბოლო წუთზე გათანაბრება.

ილია ლონდარიძემ მატჩის დასრულებამდე 40 წამით ადრე 2 ქულით დააწინაურა ქუთაისელები, ხოლო საბა ლობჯანიძემ 2-დან მხოლოდ 1 საჯარიმო მიითვალა და თსუ-მ ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. ამ მატჩში ქუთაისელთა ბომბარდირმა ჟოელ ალმეიდამ საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე ბურთი დაკარგა და უნივერსიტეტელებს მოგების შანსი მიეცათ. ეს სწორედ ის მომენტია, რაც ზემოთ ვახსენეთ და როდესაც თსუ-ელებმა ბურთთან ერთად გამარჯვების შანსიც დაკარგეს.

ქუთაისელთაგან საუკეთესო დეჟან რაითი გახლდათ, რომელმაც 19 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ალმეიდამ 22 ქულა მიითვალა, ხოლო 3-მა ქუთაისელმა – დვალიშვილმა, რენსომმა და ბარბაქაძემ 10-10 ქულა დააგროვეს. თსუ-ში 28 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო ქუენტინ დავი. 17 ქულა საბა ლობჯანიძემ მოაგროვა, ხოლო მიხეილ ჭოჭუასა და ბრენდონ სლაის ანგარიშზე 10-10 ქულა დაგროვდა.



## ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მეიფარიანი გახდა

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად ვახტანგ მეიფარიანი აირჩიეს.

ყრილობას ფედერაციის სუბიექტების მიერ წარდგენილი ოცდაშვიდივე დელეგატი ესწრებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატი 2 იყო – იმედო ფხაკაძე და ვახტანგ მეიფარიანი. აღსანიშნავია, რომ 2012-20 წლებში ორივე საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობდა.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ზურაბ კაკაბაძე, რომელიც ამავე პერიოდში 2-ჯერ იყო არჩეული პრეზიდენტად – 2012 და 2016 წლებში. რაც შეეხება თავად კაკაბაძეს, ხელბურთის ფედერაციის წესდება, ერთი და იმავე პიროვნების ზედიზედ 2 ვადაზე მეტით არჩევას არ ითვალისწინებს.

ზურაბ კაკაბაძეს ქართული ხელბურთის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადეს.

დაიწყო სარჩევნო პროცედურა და იმედო ფხაკაძემ კენჭისყრიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. შედეგად, ვახტანგ მეიფარიანი ერთხმად, ოცდაშვიდი ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

ვიცე პრეზიდენტად დარჩა ფხაკაძე, ასევე აირჩიეს დიმიტრი აბესაძე და ლევან სალუქვაძე; გენერალურ მდივნად – ქეთევან კობერიძე; ხაზინადრად – ირაკლი კეკელიძე; პრეზიდიუმის წევრებად – მერაბ მეტრეველი, გიორგი კარტოზია, ბექარ ორჯონიკიძე, ლანა მარგიანი და ნიკოლოზ სვიმონიშვილი.

ვახტანგ მეიფარიანი 50 წლისაა. 90-იან წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდისა და საქართველოს ნაკრების კაპიტანი, შემდგომში მუშაობდა მწვრთნელად, 2012-20 წლებში კი, ვიცე პრეზიდენტის სტატუსით, ხელბურთის ფედერაციაში ხელმძღვანელობდა სანაკრებო მიმართულებას.

## დიდი კლუბები ფიფა-უეფას წინააღმდეგ

დიდი ხანია მიდის იმაზე საუბარი, რომ ევროპის გრანდი კლუბები თავიანთი სუპერლიგის შექმნას აპირებენ. თუმცა, მოწინააღმდეგეებიც უფრო სჭარბობენ. პირველი, რა თქმა უნდა, ფიფა და უეფაა, რადგან სუპერლიგის შექმნის შემთხვევაში, დიდი ფინანსების გარეშე რჩებიან. ამასთან დაკავშირებით ფიფამ განცხადება გაავრცელა:

– იმ ინფორმაციის გამო, რომელიც მედიაში გავრცელდა ევროპის ზოგიერთი კლუბის მიერ დახურული საფეხბურთო ლიგის შექმნის განზრახვის თაობაზე, ფიფა და 6 საფეხბურთო კონფედერაცია კიდევ განმეორებით აცხადებენ, რომ ასეთი ტურნირი არ იქნება აღიარებული ფიფასა და არც ერთი კონფედერაციის მიერ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი კლუბი და ფეხბურთელი, რომელიც ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს, არ იქნება დაშვებული ფიფასა და ნებისმიერი კონფედერაციის მიერ ორგანიზებულ არც ერთ შეჯიბრებაზე.




ფიფას ამ განცხადებამ ვერ შეაშინა „ბობოლა“ კლუბები. ბრიტანული მედია ამტკიცებს, რომ სუპერლიგის შექმნა არა თუ გადაწყვეტილია, არამედ ამისათვის ყველაფერი უკვე დაგეგმილია. კერძოდ: ტურნირის ორგანიზატორებს 18-გვერდიანი დოკუმენტი აქვთ შექმნილი, რომლის მიხედვით, სუპერლიგაში 15 გუნდი მუდმივი სტატუსის მქონე იქნება, ხოლო კიდევ 5 საკვალიფიკაციო ტურნირიდან შეირჩევა.

თითოეული მათგანი სუპერლიგაში შესვლისთანავე ავტომატურად 350 მილიონ ევროს მიიღებს.

გუნდები 2 ჯგუფად დაიყოფიან და სეზონში 18-23 მატჩს ჩაატარებენ.

## ოლიმპიადა ჩატარდება – სოკი ჭორს გამოეხმაურა

ბრიტანულმა მედიამ იაპონიის მთავრობაში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქვეყანა პანდემიის გამო 2021 წელს ოლიმპიადის მასპინძლობაზე უარს ამბობს.

მედია იმასაც წერდა, რომ სადღეისოდ იაპონელები ფორმას ეძებენ, თუ როგორ აცნობონ საერთაშორისო საზოგადოებას უარის შესახებ ისე, რომ იმიჯი არ დაკარგონო.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოში ოლიმპიური თამაშები 2020 წელს უნდა გამართულიყო. კორონავირუსმა უდიდესი სპორტული ფორუმი ჯერ ერთი წლით გადადო, მერე კი საერთოდ კითხვის ნიშანი დაუსვა.




საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა თომას ბახმა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ ვიდეო-კონფერენციაზე კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები აუცილებლად ჩატარდება. აღინიშნა, რომ მომავალი 14 თვე უაღრესად დატვირთული იქნება, რადგანაც წინ ზაფხულის გარდა, ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც გველოდება. პანდემიის მიუხედავად, აქტიურად ემზადებიან როგორც მასპინძელი ქალაქები, ასევე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და მათი სპორტსმენები. ტოკიოშიც და ჩინეთშიც ყველაფერს აკეთებენ, რომ თამაშები უსაფრთხო და დაცულ გარემოში ჩატარდეს. მალე გამოიცემა სპეციალური სახელმძღვანელო გზამკვლევი, სადაც თავს მოიყრის ყველა აუცილებელი ინფორმაცია მომავალი ოლიმპიური თამაშების შესახებ.

ბახის თქმით, სპორტსმენთა ვაქცინაცია სავალდებულო არ იქნება, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, მათი დელეგაციების წევრები ზედმიწევნით გაითვალისწინებენ ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციებს, ადგილობრივი მთავრობებისთვის კი ვაქცინაციის პროცესში სპორტსმენები პრიორიტეტულ ჯგუფში იქნებიან.

27 იანვარს გასამართ სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მოისმენენ დეტალურ ინფორმაციას ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ, შეიმუშავებენ რეკომენდაციების პაკეტს პანდემიის და პოსტპანდემიური პერიოდისთვის, რომელსაც შემდგომ დაამტკიცებს სესია. სოკი მზადყოფნას გამოთქვამს, რომ უფრო ქმედითი დახმარება გაუწიოს ეო-კებს (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები) პანდემიით გამოწვეული რთული პერიოდის დაძლევაში.

თომას ბახმა ასევე აღნიშნა, რომ ოლიმპიურ საკვალიფიკაციო ტურნირებთან დაკავშირებით სოკის რეგულარული კომუნიკაცია აქვს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან, შესაბამისად, აუცილებელი ცვლილებები შეაქვთ საკვალიფიკაციო სისტემაში, ეს პროცესი კი ახლო მომავალში დასრულდება.

ვიდეო-კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებიც.

## ევრო 2020-ის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა

უეფა მარტის დასაწყისში დაამტკიცებს, თუ სად ჩატარდება ევრო 2020, რომელსაც დასახელება დაუტოვეს, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის 12 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარება კორონავირუსის პანდემიამდე კარგა ხნით ადრე დამტკიცდა. უეფას სურდა, რომ საფეხბურთო ზეიმი ბევრ ქვეყანას მიეღო.

როდესაც კარლ-ჰაინც რუმენიგეს ჰკითხეს ევრო-2020 ერთ ქვეყანაში ჩატარებაზე, გერმანელმა აღნიშნა, რომ უეფას პრეზიდენტ ალექსანდრ ჩეფერინი ამ იდეას სერიოზულად განიხილავს. დარწმუნებით იცის, რომ ჩეფერინი ფიქრობს, ხომ არ სჯობს ტურნირის ერთ ქვეყანაში ჩატარება.




შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დომინიკ ბლანმა კი ცეცხლს ნავთი დაასხა:

– დღეს ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ითამაშოს შვეიცარიამ ბაქოში. ავიღოთ ვარიანტები: ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლოს გერმანიამ ან რომელიმე ერთმა კონკრეტულმა ქვეყანამ. მეორე: კონკრეტულად ერთმა დიდმა ქალაქმა უმასპინძლოს ექვსივე ჯგუფის თამაშებს (სულ 36-ს). ასეთი რამ შესაძლებელია ლონდონში და კიდევ რამდენიმე სხვა ქალაქში.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი რაიმე კონფლიქტის დროს; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ალალბედზე მოქმედება; 4. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 5. ქალაქი იმერეთში; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლანდიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. კანადის პრემიერ-მინისტრი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. შტატი აშშ-ში; 9. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 13. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 14. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. ქართველი მხატვარი; 19. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 21. ქალაქის თვითმმართველობა; 22. საფრანგეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. კონტრაქტი; 4. ჰერტა; 5. ბაგრატი; 8. ლოზანა; 9. ინფანტინო; 12. თოფუზი; 14. შურთხი; 16. უბისა.

**თარაზულად:** 1. უფლისციხე; 6. კოტირება; 7. რეკლამა; 9. ისინდი; 10. იავა; 11. მასტიფი; 13. ვაშლი; 15. როტარუ; 17. ჭიანური; 18. კულუხი; 19. ლიახვი; 20. მაჯონგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. პერგოლა; 10. ხონდრიტი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ხეოფსი; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

**თარაზულად:** 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. სპინოზა; 9. პირატი; 13. ბაშო; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. ვალიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

## სამგლოვიარო განცხადებები

კოლეგები, მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ღირსეული, ღვაწლმოსილი მამულიშვილის, ჭეშმარიტი პატრიოტის, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალური მმართველი რგოლის წევრის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესის აქტიური მონაწილის, საზოგადოებრივი აქტივობით გამორჩეული ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის

**გივი ანჩაბაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლო ნათესავებს.

*ზ. ერქვანია, ლ. ცაავა, ვ. ყოლბაია, დ. გვაძაბია, პ. ქვაჩახია, ი. დოლიძე, რ. გერგედავა, მ. დგებუაძე, დ. კეკელია, ა. ლაცუზბაია, კ. კუჭუხიძე, თ. ჩოჩია, გ. მეშველიანი, შ. წულეისკირი*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 იანვარი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3044

ევრო — 4.0228

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5138

100 რუსული რუბლი — 4.4121

## ამინდის პროგნოზი 25 იანვრისათვის





21 იანვრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება

## მაია ბურჭულაძის სერიალის

„დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“



## 7-ტომეული

21 იანვრიდან ........................ ტომი 1
25 იანვრიდან........................ ტომი 2
28 იანვრიდან........................ ტომი 3
1 თებერვლიდან ................ ტომი 4
4 თებერვლიდან................ ტომი 5
8 თებერვლიდან................ ტომი 6
11 თებერვლიდან.............. ტომი 7

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


## ზიდანი შესაძლოა რაულმა შეცვალოს



მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი შესაძლოა ამ პოსტზე რაულმა შეცვალოს.

ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება.

რაული ამჟამად რეალის აკადემიაში მუშაობს და მასზე ხშირად საუბრობენ, როგორც გუნდის პოტენციურ მომავალ მწვრთნელზე.

რაც შეეხება ზიდანს, თუ მან წლევანდელ სეზონში ტიტული ვერ მოიგო, მაშინ მას გუნდის დატოვება მოუწევს.

## ლამპარდი: „ჩელსიდან წასვლას არ ვაპირებ“



ლონდონის ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა, რომ ის ჩელსის დატოვებას არ აპირებს და მაქსიმალურად შეეცდება, რომ გუნდთან ერთად წარმატებას მიაღწიოს:

— არ ვიცი, საიდან ჩნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გუნდი უნდა დავტოვო. ჩელსიში ბედნიერი ვარ და აქ კიდევ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. მინდა, რომ ინგლისის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მივაღწიო და ამისთვის თავდაუზოგავად ვშრომობ.

## კლოპი: „ახალი ცენტრალური მცველი გვჭირდება“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს ახალი ცენტრალური მცველი სჭირდება, რადგან ვან დეიკის დაბრუნებამდე ლივერპულს დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს:

— მცველი აუცილებლად გვჭირდება, თუმცა ჯერჯერობით ხელმძღვანელობა ტრანსფერზე უარს ამბობს, მაგრამ მომავალში შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს. ვან დეიკის ტრავმა ჩვენთვის დიდი პრობლემაა და შედეგებზე ეს უკვე დაგვეტყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



25 იანვრისათვის

**ვერძი** — ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. **კურო** — პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ტყუპები** — გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არატკინოთ. **კირჩხიბი** — ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ქალწული** — შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **სასწორი** — ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **მორიელი** — დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **მშვილდოსანი** — ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **თხის რქა** — წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** — კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინდაუხედაობის ბრალია. **თევზები** — ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ასეთ ამინდში მუშაობა არ მსურს.

— როგორში?

— ნებისმიერში...

•••

ქალი კაცს ეკითხება:

— უკაცრავად, ეგ ნიღაბი სად იშოვეთ?

— შემდულებელი ვარ.

•••

სახლში დაბრუნებული შვილი:

— მამა, რატომ ფიქრობ, რომ რახან დაბადების დღეზე ვიყავი, უეჭველად მთვრალი ვარ?

— დედაშენი ვარ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— ნეტავ, გასვენებაში შეიძლება, რომ პირბადე არ გავიკეთო?

— კი, თუ კუბოში წევხარ.

•••

წარწერა საგზაო ნიშნის „გასწრება აკრძალულია“:

„ძვირფასო საჭესთან მჯდომო ქალებო, ეს ნიშანი არა მხოლოდ წითელი და შავი ფერის მანქანებზე ვრცელდება!!!“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბეჰემოთებმა ნიანგისგან მეთევზის გადარჩენა სცადეს

ზიმბაბვეში ნიანგის თავდასხმის შედეგად დაიღუპა მეთევზე, რომლის შველა ბეჰემოთებმა სცადეს.



დიდი მტაცებელი რეპტილია მამაკაცს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც კარიბას წყალსაცავში წყალში მუხლებამდე მდგარი თევზაობდა. ნიანგმა მამაკაცი წყლის სიღრმეში ჩაითრია, თუმცა ბეჰემოთებმა ის აიძულეს, ყბები გაეხსნა და მსხვერპლისთვის პირი გაეშვა.

ამ თავდასხმის შედეგად მამაკაცმა მძიმე დაზიანებები მიიღო. ნიანგმა მას კინაღამ ხელის მტევანი მოაჭამა. კიდევ ერთი ჭრილობა მას მკერდის არეში ჰქონდა მიღებული. მამაკაცი ნიანგის თავდასხმიდან რამდენიმე წუთში დაიღუპა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი გასვიანმა და მარიტა მელიქიშვილმა ჯვარი დაიწერეს



მსახიობმა და წამყვანმა გიორგი გასვიანმა თავის რჩეულზე მარიტა მელიქიშვილზე ჯვარი დაიწერა. წყვილმა ჯვრისწერა უახლოესი ადამიანების წრეში აღნიშნა.

გიორგის და მარიტას ჯვარი სვეტიცხოველში მამა პეტრე კვარაცხელიამ დასწერა. გიორგის მეჯვარეები პროდიუსერი ნოე სულაბერიძე და მომღერალი ანრი ჯოხაძე იყვნენ, მარიტას მეჯვარეები კი მისი უახლოესი მეგობრები.

## ხატია შამუგია „ისი პარის“ დაემშვიდობა



პარფიუმერული კომპანია „ისიი პარის“ და ხატია შამუგიას 12-წლიანი საქმიანი თანამშრომლობა დასრულდა.

ინფორმაცია ხატიამ ინტერნეტით თავად გაავრცელა და აღნიშნა, რომ ახალ 2021 წელს ახალი გამოწვევების დროდ მიიჩნევს.

## დემნა გვასალია: „აუცილებელი არ არის დიზაინერები სელებრითები იყვნენ“



ასე მიაჩნია მსოფლიოში ცნობილ ქართველ დიზაინერს დემნა გვასალიას და უცხოელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ არ გადის ჩვენების ბოლოს ხალხის დასანახად, პასუხობს:

— მართლაც ხშირად მეკითხებიან, რატომ არ გამოდიხარ ჩვენებების ბოლოს ხალხის დასანახად? რა საჭიროა, რომ გამოვიდე? აუცილებელი არ არის დიზაინერები სელებრითები იყვნენ და ჩვენს სახეს ყველა ხედავდეს. ყველაფერი ძალიან სტრესულია. ზოგჯერ, უბრალოდ, დაღლილი ხარ, არ გრძნობ თავს კარგად, არ გინდა გამოჩენა და როცა ეს ხდება, მაშინვე მარჯიელას ყუთში გაგდებენ. მას ბაძავ და ანონიმურობას ცდილობ. დიახ, მარტინი მიყვარს და ვფიქრობ, რომ მისი სტრატეგია ძალიან მაგარი იყო, მაგრამ ამას ჩვენთან კავშირი არ აქვს. თავიდან ჩემს დიზაინერებს იმიტომ არ ვაჩენდი, რომ მათ სხვა ბრენდებთან ჰქონდათ კონტრაქტი. წამოსვლიდან 1 წელი ოფიციალურად სხვაგან მუშაობა არ შეეძლოთ და დამალვა გვიწევდა.

## ნატო გელაშვილის სიმღერა რუსმა მომღერლებმა შეასრულეს



არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორის ნატო გელაშვილის სიმღერა „სიყვარულის საგალობელი“ რუსმა მომღერლებმა იმღერეს და სოციალურ ქსელში გაავრცელეს.

ვიდეო ნატო გელაშვილმა ათასობით გულშემატკივარს თავად წარუდგინა და განაცხადა, რომ შესრულებამ ცრემლი და სიხარული მოჰგვარა:

— ამ საოცარმა შესრულებამ ცრემლი, ემოცია და სიხარული ერთად მომიტანა.

მუსიკას ენა არა აქვს. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

ამ გალობას „სიყვარულის საგალობელი“ ჰქვია. სხვა სახელი ვერ მოვუძებნე.

## საბა საფარელი გალაკონცერტიდან ამოჭრეს



ქუჩის მუსიკოსი საბა საფარელი გალაკონცერტიდან ამოჭრეს:

— ჩემი თხოვნა დედაქალაქის მერისადმი, ჩავერთე საახალწლო ღონისძიებაში, არ დაკმაყოფილდა. პასუხიც არავის გაუცია. მიუხედავად იმისა, რომ შევიტანე წერილი მერიაში და ბევრი სხვა საშუალებაც გამოვიყენე, რომ მიმეწვდინა ხმა.

ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმემ არ გამოთქვათ რაიმე სახის ნეგატივი ვინმეს მიმართ. ჩემი დამოკიდებულება და პატივისცემა უცვლელია დედაქალაქის მერის მიმართ. მე მხოლოდ იმაზე მსურს ვისაუბრო, რაც ხდება.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ურთულესი მდგომარეობისა, მე ისევ ერთგულად ვუკრავ ყოველდღე დაცლილ ქუჩებში.

მოხდა ისე, რომ პროექტმა „მუსიკის 12 მოციქული“ არ შეასრულა პირობა და ამომჭრა როგორც გალაკონცერტიდან, ისე პრეზიდენტის სასახლის კონცერტიდან, მიზეზი უცნობია. დასკვნების გაკეთება თქვენთვის მომინდვია, ძვირფასებო.

ბოლოს ერთი თხოვნა მექნება — ჩემსავით აპატიეთ ყველას ყველაფერი და ნუ დაწერთ საწყენ სიტყვას მაინც ნურავის მიმართ.

გპირდებით, რომ დავრჩები თქვენთვის იმ საბად, რომელიც გიყვართ და არასოდეს შევიცვლი გულს, მუდამ სიყვარულით ვივლი, მიყვარხართ და გმადლობთ, რომ მგულშემატკივრობთ.

ვერცერთი მუსიკალური კონკურსი და ვერცერთი თოქ შოუ ვერ დაიბრალებს, რომ მათით გავხდი ცნობილი და ეს ძალიან კარგია. მე ჩემი თავგანწირული შრომით მოვდივარ დღემდე და არც შემდეგში დავიკარგები მწამს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 2. რიგელი მოჭადრაკე მამაკაცი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი; 3. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ პერსონაჟი; 5. ცხელი ქარი; 8. ქართველი მსახიობი მამაკაცი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. სამელექტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა; 14. ოპერა „სეველიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად:** 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ტროპიკებში გავრცელებული წყლის დიდი ფრინველი; 7. ქართული ხალხური ცეკვა; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. რევაზ ლაღიძის ოპერა; 11. რაიონული ცენტრი იმერეთში; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 17. საკუთარი საქციელის ავკარგიანობის, შინაგანი შეფასების გრძნობა; 18. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 19. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 20. ბრიტანელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

